F 171
1981

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო

ბრძანებათა
და
ინსტრუქციათა
კრებული

თბილისი
1981

№ 11

ნოემბერი НОЯБРЬ

МИНИСТЕРСТВО ПРОСВЕЩЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

СБОРНИК
ПРИКАЗОВ
И
ИНСТРУКЦИЙ

ТБИЛИСИ
1981

ეროვნული
ბიბლიოთეკა

F-4864

ПОСТАНОВЛЕНИЕ

БЮРО ЦК ЛКСМ ГРУЗИИ И КОЛЕГИИ МИНИСТЕРСТВА ПРОСВЕЩЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

Об итогах Республиканского собрания пионерских работников

14 октября 1981 года

Бюро ЦК ЛКСМ Грузии и коллегия Министерства просвещения ГССР отмечают, что Республиканское собрание пионерских работников явилось важным событием в комсомольской и пионерской жизни, в жизни всего педагогического коллектива республики.

Выступление на собрании кандидата в члены Политбюро ЦК КПСС, первого секретаря ЦК Компартии Грузии тов. Э. А. Шеварднадзе стало мощным стимулом, способствующим мобилизации сил комсомольских и пионерских работников, педагогических коллективов, общественности республики на решительное улучшение дел в пионерских организациях республики, ещё одним ярким свидетельством отеческой заботы ЦК Компартии Грузии о подрастающем поколении.

Исходя из задач, определенных XXVI съездом КПСС и XXVI съездом Компартии Грузии, советов и указаний товарища Л. И. Брежнева Республиканское собрание пионерских работников выработало комплексную программу значительного усиления коммунистического воспитания подрастающего поколения, совершенствования форм и методов организационной и политической работы с детьми, пионерами и школьниками.

Бюро ЦК ЛКСМ Грузии и коллегия Министерства просвещения ГССР постановляют:

1. Поручить обкомам, горкомам, райкомам комсомола, Советам пионерских организаций, органам народного образования организовать в комсомольских организациях, в педагогических и трудовых коллективах изучение материалов Республиканского собрания пионерских работников, выступления на нем кандидата в члены Политбюро ЦК КПСС, первого секретаря ЦК Компартии Грузии товарища Э. А. Шеварднадзе. С этой целью активно использовать комсомольскую политическую учебу, политклубы, лектории, диспуты.

ა. ბაბაევის სახ. სამ. სასწ. ბიბლიოთეკა

Провести совместные пленумы областных, городских и районных комитетов комсомола, советов пионерской организации с активным широким участием органов народного образования по итогам Республиканского собрания пионерских работников; выработать конкретные мероприятия с целью дальнейшего совершенствования воспитания пионеров и школьников на лучших традициях старших поколений, привлечения их к конкретным общественно-полезным делам, умелого руководства ими в деле повышения роли пионерских коллективов в борьбе за глубокие и прочные знания, выполнения решений VIII Всесоюзного и XII Республиканского слетов пионеров, определить пути посильного участия пионеров и школьников в осуществлении планов XI пятилетки.

На заседаниях бюро комитетов комсомола до проведения совместных пленумов необходимо сформировать и утвердить комсомольские педагогические отряды при всех общеобразовательных школах, школах-интернатах, дестких домах, ПТУ, ТУ по месту жительства.

Шефскую работу с пионерами и школьниками в обязательном порядке включить в личные комплексные планы участников Всесоюзного Ленинского зачета «Решения XXVI създа КПСС — в жизнь!».

2. Отделу учащейся молодежи и пионеров ЦК ЛКСМ Грузии, Управлению воспитательной работы Министерства просвещения ГССР до I ноября 1981 года рассмотреть предложения, критические замечания и пожелания, высказанные на Республиканском собрании пионерских работников, принять все необходимые меры для их реализации.

3. Поручить Республиканскому Совету пионерской организации имени В. И. Ленина, Управлению воспитательной работы Министерства просвещения ГССР совместно с отделами ЦК ЛКСМ Грузии и управлениями Министерства просвещения республики принять конкретные меры по организационному обеспечению положений, содержащихся в обращении участников Республиканского собрания пионерских работников к общественности республики.

4. Поставить вопрос перед Госкомитетом по делам издательств, полиграфии и книжной торговли при Совете Министров ГССР о том, чтобы поручить издательству «Ганатлеба» издать, ти-

ეროვნული ბიბლიოთეკა

пографским способом, сборник материалов Республиканского собрания пионерских работников тиражом в 10000 экземпляров.

5. Редакциям газет «Ахалгазрда комунисти», «Молодежь Грузии», «Норчи ленинели», «Сахалхо ганатлеба», молодежных и детских передач Грузинского радио и телевидения систематически освещать ход выполнения постановления Республиканского собрания пионерских работников.

6. Контроль за выполнением данного постановления возложить на отделы; Организационно-комсомольской работы, Учащейся молодежи и пионеров ЦК ЛКСМ Грузии, Управление воспитательной работы Министерства просвещения ГССР, первых секретарей обкомов, горкомов, райкомов комсомола, начальников управления и отделов народного образования республики.

Секретарь ЦК ЛКСМ Грузии И. Орджоникидзе

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1981 წლის 15 ოქტომბრის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში 1981—1982 სასწავლო წლის დაწყებისა და მასწავლებელთა აგვისტოს კონფერენციების შედეგების შ ე ს ა ხ ებ

კოლეგია აღნიშნავს, რომ 1981—1982 სასწავლო წელი რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ორგანიზებულად დაიწყო. რაიონებსა და ქალაქებში მომზადებულად ჩატარდა მასწავლებელთა აგვისტოს კონფერენციები და სექციური მეცადინეობები; მათ მუშაობაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრებმა, საქალაქო და რაიონული პარტიული კომიტეტების მდივნებმა და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს წარმომადგენლებმა. აგვისტოს კონფერენციებზე გულისყურით იქნა მოსმენილი და განხილული საქართველოს კომპარტიის ცეკრალური კომიტეტის წერილი რესპუბლიკის ყველა პედაგოგ კომუნისტისა და განათლების მუშაკისადმი. შეჯამდა გასული სასწავლო წლის შედეგები. დაისახა ახლო მომავლის ამოცანები პარტიის ყრილობების გადაწყვეტილებათა და თბილისში საიუბილეო დღესასწაულებზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლებში მოცემული დებულებებისა და დასკვნების შესაბამისად. კონფერენციების მონაწილენი სრულ მზადყოფნას გამოთქვამდნენ, საქმედ აქციონ სკოლისა და მასწავლებლებისადმი წაყენებული თანამედროვე მოთხოვნები.

ახალი სასწავლო წლისათვის სახალხო განათლების განყოფილებებმა, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებმა ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოების აქტიური დახმარებით სათანადო მუშაობა გასწიეს სკოლების მატერიალური ბაზის განმტკიცების, სწავლების ტექნიკური საშუალებებით აღჭურვის, სასკოლო დოკუმენტაციით, სახელმძღვანელოებით, მეთოდური ლიტერატურით, პროგრამებითა და სასწავლო გეგმებით მათი უზრუნველყოფის, მოსწავლეთა კვების ორგანიზაციის სათანადო სიმაღლეზე დაყენებისათვის.

რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში 1981—1982 სასწავლო წლისათვის აშენდა და ექსპლოატაციაში გადაეცა 63 ახალი სასწავლო შენობა 26.996 მოსწავლე ადგილით. სკოლებისა და სკოლამდელი დაწესებულებების მატერიალური ბაზის განმტკიცების საქმეში აქტიური მონაწილეობა მიიღეს შეფმა ორგანიზაციებმა.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ, მისმა სამმართველო-განყოფილებებმა სათანადო მუშაობა გასწიეს სასწავლო პროგრამებისა და სახელმძღვანელოების სრულყოფისათვის.

გარკვეული ღონისძიებები გატარდა საყოველთაო-სავალდებულო სწავლების განხორციელების საქმეში.

მიმდინარე წლის 1-ლი სექტემბრიდან თელავის რაიონისა და ქ. თბილისის ლენინის რაიონის რიგი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დაწყებითი კლასების მოსწავლეები ექსპერიმენტის სახით გადაყვანილია 5 დღიან სწავლებაზე.

1981—1982 სასწავლო წელს რესპუბლიკის 10 რაიონის 41 სკოლაში შემოღებულია ახალი ბერძნული ენის სწავლება უცხოური ენის ნაცვლად.

გარკვეული მუშაობა ჩატარდა შრომითი სწავლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემდგომი განმტკიცებისათვის. იმატა ტექნიკური შრომისა და საყოფაცხოვრებო შრომითი კაბინეტების რიცხვმა, საბაზო საწარმოებში გაიზარდა სასწავლო-საწარმოო საამქროების რაოდენობა.

ამასთან ერთად, ახალი სასწავლო წლისათვის მზადყოფნის საქმეში აღინიშნება გარკვეული ნაკლოვანებებიც:

არ შესრულდა სასწავლო შენობების ექსპლუატაციაში გადაცემის ძირითადი გეგმა. 6 სასკოლო შენობა ვერ შევიდა მწყობრში (აბაშის, ორჯონიკიძის რაიონის სოფელ წიფას, წალენჯიხის რაიონის სოფელ ნაგურაუს, ხობის რაიონის სოფელ ბიას, მესტიის რაიონის სოფლების ცხუმორისა და ლატალის სკოლები). სამშენებლო სამუშაოების დაუსრულებლობის გამო 1-ლი სექტემბრისათვის სწავლა ვერ დაიწყო სახელმწიფო კომისიის მიერ მიღებულ 15 ახალ სასკოლო შენობაში.

სერიოზული ნაკლოვანებებია სასკოლო სასადილოებისა და ბუფეტების გახსნის და ცხელი კერძებით მოსწავლეთა კვების ორგანიზაციის საქმეში.

მიუხედავად გატარებული ღონისძიებებისა ნაკლოვანებები შეინიშნება სახელმძღვანელოებითა და მეთოდური ლიტერატურით სკოლების მომარაგების საქმეში. ვერ გამოიცა 1-ლი სექტემბრისათვის აზერბაიჯანული და სომხური სკოლებისათვის 4 დასახელების სახელმძღვანელო 24 ათასი ეგზემპლარი, იმ სკოლებისათვის, სადაც გაღრმავებული პროგრამებით ისწავლება უცხოური ენები — 6 დასახელების 19.5 ათასი ეგზემპლარი. დროულად არ იყო მიწოდებული პროგრამები, და სასწავლო გეგმები წალენჯიხის, ცხაკაიას, მცხეთის, ზესტაფონის, საჩხერის, საგარეჯოს, ონის, გულრიფშის რაიონებში.

ახალი სასწავლო წლის 1-ლი სექტემბრისათვის სრულად ვერ გადაწყდა მასწავლებელთა კადრებით სოფლის სკოლების უზრუნველყოფის საკითხი. დღეისათვის სკოლებს აკლიათ 120 პედაგოგი. წალენჯი-

ხის, გალის, ლაგოდეხის, ქარელის, ვანის, ონის, გეგეჭკორის, ხაპილოს, აბაშისა და სხვა რაიონებში ჯერ კიდევ გაგზავნილი არ არიან ფიზიკის, რუსული ენისა და ლიტერატურის, უცხოური ენების, დაწყებითი კლასებისა და სხვა საგნების სპეციალისტები. ნაწილობრივ ეს განპირობებულია იმით, რომ ადგილებზე ახალგაზრდა სპეციალისტებს ვერ უქმნიან კომუნალური მომსახურების სათანადო პირობებს. ჯერ კიდევ დროულად არ ხდება სკოლის ხელმძღვანელი კადრების ვაკანტურ ადგილებზე დანიშვნა.

კოლეგიამ გადაწყვიტა:

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ა/ო, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებათა გამგეებმა, ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს უფროსმა:

1.1. კოლეგიებისა და სახალხო განათლების საბჭოების სხდომებზე განიხილონ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის გადაწყვეტილება 1981—1982 სასწავლო წლის დაწყების შედეგების შესახებ, ყოველმხრივ გააანალიზონ რესპუბლიკაში, ოლქში, ქალაქსა და რაიონში გაწეული მუშაობა და დასახონ ქმედითი ღონისძიებები ნაკლოვანებათა დაუყოვნებლივ აღმოფხვრისათვის;

1.2. განახორციელონ კონკრეტული ღონისძიებები საყოველთაოსავალდებულო სწავლების სრულად განხორციელების, გახანგრძლივებული დღის სკოლებსა და ჯგუფებში, სასკოლო ინტერნატებში ბავშვთა სწავლის, დასვენებისა და კვების უკეთ ორგანიზების მიზნით;

1.3. სისტემატურად გაატარონ საჭირო ღონისძიებები მასწავლებელთა და სახალხო განათლების სხვა მუშაკთა საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად, შეუქმნან მათ ნორმალური პირობები ნაყოფიერი მუშაობისათვის;

1.4. გადამჭრელი ზომები მიიღონ სახალხო განათლების სისტემის დაწესებულებების ხელმძღვანელი და მასწავლებელთა კადრებით დასაკომპლექტებლად, ახალგაზრდა სპეციალისტების ადგილებზე დასამაგრებლად.

2. სახელმძღვანელოების სამმართველომ (ამხ. ნ. ღლონტი) გაატაროს საჭირო ღონისძიებები სკოლების სახელმძღვანელოებით, სასწავლო გეგმებითა და პროგრამებით უზრუნველყოფის საქმეში არსებული ნაკლოვანებების სალიკვიდაციოდ.

3. კადრების სამმართველომ (ამხ. ა. ვაჩნაძე) დაუყოვნებლივ მოაგვაროს რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების საჭირო პედაგოგიური კადრებით სრულყოფილად დაკომპლექტების საკითხი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. განათლების სამინისტროს სამმართველო-განყოფილებებმა დროული რეაგირება მოახდინონ მასწავლებელთა აგვისტოს კონფერენციებზე გამოთქმულ კრიტიკულ შენიშვნებსა და წინადადებებზე (თან ერთვის).

5. გადაწყვეტილების შინაარსი გამოქვეყნდეს გაზეთ „სახალხო განათლებაში", დაიბეჭდოს ბრძანებათა და ინსტრუქციათა კრებულში.

6. კონტროლი აღნიშნული გადაწყვეტილების შესრულებაზე დაევალოს სკოლების სამმართველოს (ამხ. კ. სუჯაშვილი) და სახალხო განათლების ინსპექციას (ამხ. თ. ჩუბინიძე).

კოლეგიის თავმჯდომარე,
მინისტრი **ო. ქინქლაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცნობა

რესპუბლიკის ზოგადსაგანმანთლებლო სკოლებში 1981—1982 სასწავლო წლის დაწყების შედეგების შესახებ

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ, სახალხო განათლების განყოფილებებმა, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების პედაგოგიურმა კოლექტივებმა დროულად დაიწყეს მზადება ახალი 1981—1982 სასწავლო წლისათვის. ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოების აქტიური დახმარებით სათანადო მუშაობა გასწიეს სკოლების ქსელის რაციონალიზაციის, მათი მატერიალური ბაზის განმტკიცების, სწავლების ტექნიკური საშუალებებითა და თვალსაჩინოებით სკოლების აღჭურვის, სასკოლო დოკუმენტაციით, სახელმძღვანელოებით, მეთოდური ლიტერატურით, პროგრამებითა და სასწავლო გეგმებით მათი უზრუნველყოფის, მოსწავლეთა კვების ორგანიზაციის გაუმჯობესების, მასწავლებელთა კადრებით სკოლების დაკომპლექტების, სკოლებს შორის სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზების საქმეში.

მიმდინარე წლის ივლისში საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიამ განიხილა ახალი სასწავლო წლისათვის მზადების საკითხი, ხოლო აგვისტოს თვეში შემოწმებულ იქნა რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისა და სკოლამდელი დაწესებულებების ახალი სასწავლო წლისათვის მზადყოფნის საკითხი.

შემოწმებით დადგინდა, რომ ახალი სასწავლო წლისათვის მზადყოფნის მიზნით სათანადო მუშაობა გასწიეს ქ. ქ. ქუთაისის, ზუგდიდის, ზესტაფონის, სამტრედიის ჩხოროწყუს, ყვარლის, გურჯაანის, აბაშისა და სხვა რაიონების სკოლებმა, სკოლამდელმა და სკოლისგარეშე დაწესებულებებმა.

რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში გარკვეული ღონისძიებები გატარდა ახალი სასწავლო წლისათვის სკოლებისა და სკოლამდელი დაწესებულებების მატერიალური ბაზის განმტკიცების მიზნით. სულ რესპუბლიკაში ექსპლოატაციაში შევიდა 63 სასკოლო შენობა 26.006 მოსწავლე ადგილით. სკოლებისა და სკოლამდელი დაწესებულებების მატერიალური ბაზის განმტკიცების საქმეში აქტიური მონაწილეობა მიიღეს საშეფო ორგანიზაციებმა.

რესპუბლიკის სკოლებსა და საბავშვო დაწესებულებებზე ახალი სასწავლო წლის მზადებასთან დაკავშირებით მიმდინარე წლის მე-2 კვარტალსა და მე-3 კვარტლის ორ თვეში გაცემულ იქნა 6135,8 ათასი მანეთის მატერიალური ფასეულობა. მათ შორის 1832,4 ათასი მანეთის

სასკოლო ინვენტარი, 2190,8 ათასი მანეთის თვალსაჩინო ხელსაწ�-იარაღები და 2112,6 ათასი მანეთის რბილი და სამეურნეო ინვენტარი.

ახალი 1981—1982 სასწავლო წლისათვის ექსპლუატაციაში გადაცემული ახალი სკოლებისათვის გაიცა 1536,5 ათ. მანეთის სასკოლო ინვენტარი, მათ შორის 9,2 ათ. ც. მოსწავლის მაგიდა სკამით, 2,5 ათ. ც. მერხი და 4,6 ათ. ც. ლაბორატორიული მაგიდა სკამით. ახალ მშენებარე სკოლამდელ დაწესებულებებზე გაიცა 230,0 ათ. მათის საბავშვო ავეჯი, 930,0 ათ. მანეთის რბილი ინვენტარი, 304,0 ათ. მანეთის სამეურნეო ინვენტარი, 350,0 ათ. მანეთის სათამაშოები. გარდა ამისა, სკოლებმა და სკოლამდელმა დაწესებულებებმა მიიღეს 80 ც. პიანინო, 20 ც. მაცივარი, 350 ც. ელექტრო ქურა, 100 ც. საკერავი მანქანა და 20 ც. საბეჭდი მანქანა.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ, მისმა სამმართველო-განყოფილებებმა დიდი მუშაობა გასწიეს სასწავლო პროგრამებისა და სახელმძღვანელოების სრულყოფისათვის, სასწავლო და მეთოდური ლიტერატურით, საჭირო დიდაქტიკური მასალებით სკოლების დროულად უზრუნველყოფისათვის.

1981—1982 სასწავლო წლიდან სახელმძღვანელოებით უფასოდ სარგებლობაზე გადაყვანილია რესპუბლიკის ყველა ტიპის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მოსამზადებელი — მეშვიდე კლასების მოსწავლეები; თანახმად სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრკ მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 24 ნოემბრის დადგენილებისა კლასების მიხედვით ასეთი სახელმძღვანელოებით სკოლების უზრუნველყოფა მოხდა შემდეგი პროცენტული რაოდენობით:

მოსამზ. კლ. — 101%
1 კლასი — 15%
II-III-IV-V კლ. — 20%
VI-VII კლ. — 105%
VIII-IX-X კლ. — 50 — 55%

დანაკლისი შეივსება სკოლებში არსებული ნახმარი სახელმძღვანელოების ფონდიდან.

1981—1982 სასწავლო წლისათვის ზოგადსაგანმანათლებლო ქართული სკოლებისათვის დაიბეჭდა 108 დასახელების სახელმძღვანელო, საერთო ტირაჟით 3.666 ათ. ეგზ. ახალი პროგრამის მიხედვით პირველად გამოიცა 11 დასახელების წიგნი, ფერადი, ე. ი. ოფსეტური ბეჭდვით დაისტამბა 22 დასახელების სახელმძღვანელო.

ზოგადსაგანმანათლებლო რუსული სკოლებისათვის გამომცემლობა „განათლების“ ხაზით გამოიცა 12 დასახელების სახელმძღვანელო საერთო ტირაჟით 12 ათასი ეგზ., აქედან ახალია 3 დასახელება — ქართული ენა III-IV-V კლასებისათვის. რესპუბლიკათაშორისო მომარაგების გზით ზოგადსაგანმანათლებლო რუსული სკოლებისათვის შე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოზიდულია და სკოლებს დაეგზავნა 98 დასახელების სახელმძღვანელო, აზერბაიჯანული სკოლებისათვის შემოსულია 78 დასახელების წიგნი, სომხური სკოლებისათვის 80 დასახელების სახელმძღვანელო.

ახალი სასწავლო წლისათვის 14 საგანში მომზადდა 23 დასახელების პროგრამა.

გატარებულია გარკვეული ღონისძიებები საყოველთაო-სავალდებულო სწავლების განხორციელების საქმეში.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 4 აგვისტოს დადგენილებისა და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს შესაბამისი ბრძანების თანახმად ახალ სასწავლო წელს თელავის რაიონის და ქ. თბილისის ლენინის რაიონის რიგი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსამზადებელი კლასების მოსწავლეები ექსპერიმენტის სახით გადაყვანილია ხუთდღიან სწავლებაზე. ამასთან, შემოღებულია საბავშვო ბაღებში ექვსწლიანების სწავლება. ამ მიზნით შემუშავდა სასწავლო პროგრამები, სახელმძღვანელოები, სასწავლო და მეთოდური მასალები ხუთდღიან სწავლებაზე გადასვლასთან დაკავშირებით ცვლილებების გათვალისწინებით. მიმდინარე წლის აგვისტოს თვეში ჩატარდა დახელოვნებისა და გადამზადების კურსები დაწყებითი კლასების იმ მასწავლებელთათვის, რომლებიც ახალი პროგრამით იმუშავებენ.

1981-1982 სასწავლო წელს რესპუბლიკის 10 რაიონის 41 სკოლაში შემოღებულია ახალი ბერძნული ენის სწავლება უცხოური ენის ნაცვლად.

ახალი ბერძნული ენის მასწავლებელთა კადრებით უზრუნველყოფის მიზნით ადგილებზე შეირჩნენ პედაგოგები, რომლებიც ფლობენ ბერძნულ ენას. მათთვის მეთოდური დახმარების გაწევის მიზნით მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალურმა ინსტიტუტმა ქალაქ სოხუმის მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის ბაზაზე მიმდინარე წლის 10 აგვისტოდან ჩაატარა ათდღიანი კურსები.

იმ სკოლებისათვის, სადაც შემოღებულია ახალი ბერძნული ენის სწავლება, გამოცემულია ტიპური პროგრამები 1 — X კლასებისათვის, IV კლასის სახელმძღვანელოს I და II ნაწილი და შესაბამისი მეთოდური ლიტერატურა.

რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სათანადო ყურადღება ექცევა შრომითი სწავლებისა და აღზრდის პირობების გაუმჯობესების საკითხებს. მნიშვნელოვნად განმტკიცდა შრომითი სწავლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, საბაზო საწარმოებში გაიზარდა სასწავლო-საწარმოო საამქროების რაოდენობა, რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში გაიზარდა ტექნიკური შრომის და საყოფაცხოვრებო შრომითი კაბინეტების რიცხვი. პარტიისა და მთავრობის დადგენილებათა შესაბამისად მიმდინარე ახალი

სასწავლო წლის დაწყებისათვის 80 ერთეულით გაიზარდა იმ სკოლების რიცხვი, სადაც შემოღებულია მექანიზატორთა სწავლება-მომზადება, 40 ერთეულით — ავტოსაქმის სწავლება.

დღეისათვის რესპუბლიკაში ფუნქციონირებს 19 სასკოლათაშორისო სასწავლო-საწარმოო კომბინატი, სადაც გაღრმავებული პროგრამით შრომით სწავლებას გადის 134 საშუალო სკოლის 11967 მოსწავლე. 1982 წლის ბოლომდე დამატებით მწყობრში შევა 3 სასკოლათაშორისო სასწავლო-საწარმოო კომბინატი ქ. ტყვარჩელში, ცხინვალის რაიონსა და ქ. თბილისის ოქტომბრის რაიონში.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო, სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოები სათანადო პასუხისმგებლობით ეკიდებიან მასწავლებელთა კადრების განაწილების, მათი დახელოვნებისა და გადამზადების საკითხს. 1981-1982 სასწავლო წელს სკოლებში და სხვა საბავშვო დაწესებულებებში განაწილდა 1120 ახალგაზრდა სპეციალისტი, კვალიფიკაციისა და გადამზადების კურსები გაიარა განათლების სისტემის 15875-მა მუშაკმა.

რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში ორგანიზებულად ჩატარდა მასწავლებელთა აგვისტოს კონფერენციები, შეჯამდა გასული სახწავლო წლის შედეგები, დაისახა ახლო მომავლის ამოცანები, რომელთა გადაჭრა უწევთ სკოლებს ახალ სასწავლო წელს პარტიის ყრილობების გადაწყვეტილებათა და თბილისში საიუბილეო დღესასწაულზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლებში მოცემული დებულებებისა და დასკვნების შესაბამისად. კონფერენციების მონაწილენი სრულ მზადყოფნას გამოთქვამდნენ საქმედ აქციონ სკოლისა და მასწავლებლებისადმი წაყენებული თანამედროვე მოთხოვნები.

მიმდინარე წელს აგვისტოს კონფერენციებზე საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების თანახმად მოხსენებით „პარტიული ორგანიზაციების (ქალაქ, რაიონი) ამოცანების შესახებ სახალხო განათლების ორგანოების საქმიანობის შემდგომი გაუმჯობესების დარგში სკკპ 26-ე და საქართველოს კპ 26-ე ყრილობების გადაწყვეტილებათა, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომპარტიის შექმნის 60 წლისათვის ზეიმზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლაში მოცემული დებულებებისა და დასკვნების შუქზე“ გამოვიდნენ რაიკომების, ქალაქკომების მდივნები. მოხსენება „1980-1981 სასწავლო წლის შედეგებისა და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, სკოლამდელი და სკოლისგარეშე დაწესებულებების ამოცანების შესახებ, გამომდინარე სკკპ 26-ე და საქართველოს კპ 26-ე ყრილობების გადაწყვეტილებებიდან“ გააკეთეს სახალხო განათლების განყოფილებათა გამგეებმა.

საქალაქო და რაიონული კონფერენციების მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის წევრებმა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

განათლების სამინისტროს პასუხისმგებელმა მუშაკებმა. აგვისტოს კონფერენციების წინა დღეებში საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა წერილით მიმართა ყველა პედაგოგ კომუნისტს და განათლების მუშაკს.

ტრადიციისამებრ 1-ლი სექტემბრის წინა დღეს პრესაში გამოქვეყნდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფსაბჭოსა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მიმართვა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის პროფესიულ-ტექნიკური და ტექნიკური სასწავლებლების, ტექნიკუმების მოსწავლეების, რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტების, პედაგოგების, აღმზრდელებისა და მშობლებისადმი.

ამასთან ერთად, ახალი სასწავლო წლისათვის სკოლების მომზადების საქმეში შეინიშნება არსებითი ხასიათის ნაკლოვანებებიც.

1-ლი სექტემბრისათვის ვერ შესრულდა სასწავლო შენობების ექსპლოატაციაში გადაცემის ძირითადი გეგმა. ასე, მაგალითად, რესპუბლიკის რიგ რაიონებსა და ქალაქებში არ არის დამთავრებული სკოლებისა და სკოლამდელი დაწესებულებების მშენებლობა (აბაშა, ხობის რაიონის სოფელი ბაია, ორჯონიკიძის რაიონის სოფელი წიფა, მესტიის რაიონის სოფლები ლატალი, ცხუმორი, წალენჯიხის რაიონის სოფელი ნაგურუ), საჭირო სამშენებლო მასალების უქონლობის გამო ზოგიერთ სკოლაში გაგრძელდება სარემონტო სამუშაოები.

ასე, დუშეთის 1-ლ საშუალო სკოლაში მეცადინეობა ორი დღით დაგვიანებით დაიწყო იმის გამო, რომ აქ დროულად ვერ მოხერხდა საკლასო ოთახებისა და დერეფნების იატაკების შეღებვა.

სათანადო ყურადღება არ ექცევა საინიციატივო მშენებლობას. საშეფო ორგანიზაციების პასიურობის გამო დროულად არ დასრულდა მიმდინარე რემონტი წალკის რაიონის სკოლებში. ცხინვალის სკოლა-ინტერნატის საშეფო ორგანიზაციამ „ვიბრმანქანამ“ საერთოდ უარი განაცხადა სარემონტო სამუშაოებში მონაწილეობაზე. არ მიუღია მონაწილეობა სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების ჩატარებაში ლენტეხის რაიონის საშუალო სკოლების შეფ ორგანიზაციებს.

რიგ რაიონებსა და ქალაქებში პრაქტიკაში შემოღებული არ არის სკოლებისა და სკოლამდელი დაწესებულებების მზადყოფნის აქტების წარმოება (წალენჯიხის, ვანის, ლენტეხისა და ქალაქ ქუთაისის ლენინის რაიონები).

ჯერ კიდევ სერიოზული ნაკლოვანებებია სასკოლო სასადილოებისა და ბუფეტების გახსნის, ამ დანიშნულებით სათანადო სათავსოების გამოყოფისა და ცხელი კერძებით მოსწავლეთა კვების ორგანიზაციის საქმეში. მცხეთის რაიონის სკოლების სასადილოებისა და ბუფეტების უმრავლესობა არ არის უზრუნველყოფილი ცხელი და ცივი წყლით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასადილოები და ბუფეტები ცუდად მარაგდებიან კვების პროდუქტებით.

არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა მოსწავლეთა უფასო ტრანსპორტირების საკითხში. დღეისათვის არ ხერხდება ტრანსპორტირება:

გალის რაიონში — 1478 მოსწავლის
მახარაძის რაიონში — 416 მოსწავლის
ჩოხატაურის რაიონში — 311 მოსწავლის
ხობის რაიონში — 348 მოსწავლის
ცხაკაიას რაიონში — 275 მოსწავლის
ონის რაიონში — 58 მოსწავლის
ვანის რაიონში — 65 მოსწავლის
გურჯაანის რაიონში — 49 მოსწავლის
ზესტაფონის რაიონში — 700 მოსწავლის
საჩხერის რაიონში — 889 მოსწავლის

მიუხედავად გატარებული ღონისძიებებისა შეინიშნება ნაკლოვანებები სახელმძღვანელოებითა და მეთოდური ლიტერატურით სკოლების მომარაგების საქმეში.

ასე, მაგალითად, ზოგადსაგანმანათლებლო აზერბაიჯანული და სომხური სკოლებისათვის უნდა გამოცემულიყო 4 დასახელების სახელმძღვანელო, საერთო ტირაჟით 24 ათასი ეგზ., პოლიგრაფიული ბაზის უქონლობის გამო გამომცემლობა „განათლებამ“ 1-ლი სექტემბრისათვის ვერ უზრუნველყო ვერც ერთი სახელმძღვანელოს დაბეჭდვა. იმ სკოლებისათვის, სადაც უცხოური ენები გაღრმავებული პროგრამებით ისწავლება, ახალი სასწავლო წლისათვის უნდა გამოცემულიყო 6 დასახელების სახელმძღვანელო (გერმანული, ინგლისური, ფრანგული, არაბული, სპარსული), საერთო ტირაჟით 19,5 ათასი ეგზ. პოლიგრაფიული ბაზის სისუსტისა და ოფსეტური ქაღალდის უკმარისობის გამო გამომცემლობა „განათლებამ“ ვერ უზრუნველყო აღნიშნული სახელმძღვანელოების დაბეჭდვა.

დროულად არ იყო მიწოდებული პროგრამები და სასწავლო გეგმები წალენჯიხის, საგარეჯოს, ონის, ცხაკაიას, მცხეთის, ზესტაფონის, საჩხერის, წალკის, ლანჩხუთის, გულრიფშის რაიონებში. არასაკმარისი რაოდენობით მიიღეს პროგრამები ქალაქ თბილისის ოქტომბრის რაიონის სკოლებმა. ზუგდიდის რაიონში დააკლდათ 27 დასახელების სახელმძღვანელო, უფრო მეტიც, ტყიბულის რაიონში მოსამზადებელი კლასების მოსწავლეთათვის და მცხეთის რაიონში მე-5 კლასის მოსწავლეთათვის მიღებულ იქნა უვარგისი (ძველი გამოცემის) სახელმძღვანელოები.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ რიგ რაიონებსა და ქალაქებში სახალხო განათლების განყოფილებებმა თავიანთ განაცხადებში არ გაი-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თვალისწინეს ახლადმშენებარე სკოლების კონტინგენტი, რის გამოც შეფერხდა ექსპლუატაციაში გადაცემული ახალი სკოლების მოსწავლეების სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფა.

ჯერ კიდევ არ არის ბოლომდე მოწესრიგებული საბიბლიოთეკო ფონდების გამოყენების საკითხი. არ ხდება ერთი სკოლიდან მეორეში გადასვლისას მოსწავლეთა მიერ სასკოლო ბიბლიოთეკაში მიღებული სასწავლო ლიტერატურის ჩაბარება და ახლად ჩარიცხულებზე ყველა საჭირო სახელმძღვანელოს გაცემა.

გეგმით გათვალისწინებული 720 ათასი დღიურიდან რესპუბლიკის სავაჭრო ქსელში ახალი სასწავლო წლისათვის შევიდა მხოლოდ 450 ათასამდე მოსწავლის დღიური.

ახალი სასწავლო წლის 1-ლი სექტემბრისათვის ვერ გადაწყდა მასწავლებელთა კადრებით სოფლის სკოლების სრულად უზრუნველყოფის საკითხი. დღეისათვის სკოლებს აკლიათ 120 მასწავლებელი. წალენჯიხის, გალის, ლაგოდეხის, ქარელის, ვანის, ონის, გეგეჭკორის, ასპინძის, აბაშისა და სხვა რაიონების სკოლებში ჯერ კიდევ აკლიათ ფიზიკის, რუსული ენისა და ლიტერატურის, უცხოური ენების, დაწყებითი კლასებისა და სხვა საგნების სპეციალისტები. მესამე წელია არ არის უცხო ენის მასწავლებელი საჩხერის რაიონის სოფელ მოხვის საშუალო სკოლაში, რის გამოც უცხო ენა აღნიშნულ სკოლაში ამჟამად არ ისწავლება.

ნაწილობრივ ეს განპირობებულია იმით, რომ ადგილებზე ახალგაზრდა სპეციალისტებს ვერ უქმნიან კომუნალური მომსახურების სათანადო პირობებს. ჯერ კიდევ დროულად არ ხდება სკოლის ხელმძღვანელი კადრების ვაკანტურ ადგილებზე დანიშვნა. ასე, მაგალითად, მიმდინარე წლის 10 სექტემბრისათვის წალკის რაიონში არ იყო დანიშნული 3 სკოლის დირექტორი.

აღნიშნული ნაკლოვანებები განპირობებულია ცალკეული ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებების არასაკმარისი მუშაობით ახალი სასწავლო წლისათვის მზადების საქმეში.

სკოლების სამმართველო

F-4864

მასწავლებელთა 1981 წლის აგვისტოს კონფერენციებზე გამოთქმული კრიტიკული შენიშვნებისა და წინადადებების რეალიზაციის გეგმა

№№	ვინ წამოაყენა შენიშვნა, წინადადება	მოკლე შინაარსი	პასუხისმგებელი შესრულებაზე
1	2	3	4
1	ქ. ბათუმის მე-4 სშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ვ. ცინცაბაძე.	ა) ქართული ენის გრამატიკაში ათეული წლის წინათ გამოცემული ტაბულები მეტისმეტად მოძველებულია, ამასთანავე, გაუმართლებელია მეთოდური და ესთეტიკური თვალსაზრისით.	სკოლების სამმართველო
2		ბ) მცირეა და იშვიათად ხელმისაწვდომი სწავლების ტექნიკური საშუალებები, განსაკუთრებით კინოფილმები, კინოფრაგმენტები, დიაფილმები გ) უხარისხო ქაღალდზე, დაბალ პოლიგრაფიულ დონეზეა დაბეჭდილი მშობლიური ლიტერატურის ქრესტომათია.	მომარაგების მთავარი სამმართველო კოლების სამმართველო
2	ქ. ბათუმის მე-4 საშუალო სკოლის დირექტორი ნ. შური	სკოლები არ მარაგდება შრომითი სწავლებისათვის საჭირო მასალებით.	სკოლების სამმართველო, მომარაგების მთავარი სამმართველო
3	თიანეთის რაიონის განათლების განყოფილების გამგე ვ. ობგაიძე	73-ე პროფტექნიკურ სასწავლებელს დაემატოს პროფილები როგორც ვაჟებისათვის, ისე გოგონებისათვის — სამშენებლო, საყოფაცხოვრებო მომსახურების, ავტოსაქმის.	სკოლების სამმართველო
4	გეგეჭკორის რაიონის სოფელ დიდი ჭყონის ჩაის საბჭოთა მეურნეობის საშუალო სკოლის დირექტორი ა. ლაშხია	მიზანშეწონილია რაიონის სკოლებისათვის მოსამზადებელი კლასები გაიხსნას 25 მოსწავლეზე მცირე კონტინგენტზე, რომ გაუმჯობესდეს პირობები პირველკლასელთა სწავლებისათვის.	საგეგმო - საფინანსო სამმართველო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ს. ბარამიძის სახ. საქ. სახელმწიფო ბიბლიოთეკა

1	2	3	4
	მე-2 საშუალო სკოლის კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის ორგანიზატორი შ. ზანტუა	სკოლები უზრუნველყოფილი არ არიან ესთეტიკური აღზრდის ციკლის მასწავლებლებით, არასპეციალისტების მუშაობა კი ხელს უშლის მოსწავლეთა ესთეტიკურ აღზრდას.	აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველო
5	აბაშის რაიონის განათლების განყოფილების გამგე ა. ცანავა	ა) ღარიბია სწავლების ტექნიკურ საშუალებათა სასწავლო-თვალსაჩინო მასალების ასორტიმენტი. ბ) აბაშის რაიონი ვერ კმაყოფილდება დაწყებითი კლასების, გერმანული ენის, რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა კადრებით.	სკოლების სამმართველო კადრების სამმართველო
	სოფელ სამიქაოს საშუალო სკოლის დირექტორი ა. ჯანგველაძე	სასკოლო სახელმძღვანელოებს აკლიათ პრაქტიკოსი მასწავლებლების ხელი, ამიტომ მოსწავლეებს უძნელდებათ წიგნზე მუშაობა.	სკოლების სამმართველო, სახელმძღვანელოების სამმართველო
	სოფელ ნოღოღაშის 8-წლიანი სკოლის დირექტორი ჟ. არჩაია	საჭიროა ტექნიკურ საშუალებათა სათადარიგო ნაწილების მაღაზიის გახსნა. ქუთაისის ბაზაში არ არის ტექნიკურ საშუალებათა გასინჯვის საშუალება და ხშირ შემთხვევაში ისინი გაძარცულია.	მომარაგების მთავარი სამმართველო
6	ჩხოროწყუს რაიონის განათლების განყოფილების გამგე ღ. გორდულაძე	ა) დაბალია სასწავლო სახელმძღვანელოების პოლიგრაფიული დონე, რიგი სახელმძღვანელოებისა იმდენად დაბალი ხარისხით არის გამოცემული, რომ კარგად მოვლის შემთხვევაშიც ვერ უძლებს ექსპლუატაციის დადგენილ 4 წლიან ვადას. ბ) სკოლების კაპიტალური რემონტის მაღალხარისხოვნად ჩატარებისათვის განათლების სამინისტროს სარემონტო კანტორამ შექმნას ზონების მიხედვით სარემონტო ჯგუფები, რომელთაც გადაეცეს ამ დანიშნულებით გამოყოფილი ფონდირებული სამშენებლო მასალები.	სახელმძღვანელოების სამმართველო კაპიტალური მშენებლობის განყოფილება

1	2	3	4
		გ) რაიონის ექვს სკოლაში დაუმონტაჟებელია ლინგაფონის კაბინეტები, საჭიროა რესპუბლიკის მასშტაბით ზონების მიხედვით შეიქმნას ისეთი ორგანიზაცია, რომელიც ამ მხრივ დახმარებას გაუწევს სკოლებს.	მომარაგების მთავარი სამმართველო
7	მცხეთის რაიონის განათლების განყოფილების გამგე ე. ხარაბაძე	ა) საგურამოს საშუალო სკოლაში შემოღებულია ტრაქტორის სწავლება, ტრაქტორი კი არ მიუღიათ. ბ) საჭიროა ფილმოთეკისათვის ლაბორანტის ერთი საშტატო ერთეული და ავტოტრანსპორტის გამოყოფა ფილმების გადასატანად. გ) სკოლამდელი დაწესებულებები არ მარაგდებიან საკმაო მასალებით.	მომარაგების მთავარი სმმართველო საგეგმო - საფინანსო სამმართველო მომარაგების მთავარი სამმართველო
8	ტყიბულის ზონის განათლების განყოფილების გამგე ზ. ლომთაძე	წელს ზონის სკოლებმა მიიღეს მოსამზადებელი კლასის დედა ენის 1978 წლის გამოცემა, მაშინ როცა ამჟამად სურლიად ახალი სახელმძღვანელოა გამოსული	სახელმძღვანელოების სამმართველო
9	ჭიათურის ზონის განათლების განყოფილების გამგე გ. ცხადიაშვილი	1) დაბალია სახელმძღვანელოების ხარისხი 2) ქუთაისის თვალსაჩინოების ბაზა ვერ უზრუნველყოფს სკოლებს სწავლების ტექნიკური საშუალებებითა და თვალსაჩინოებით. 3) მცირე რაოდენობით არის მიღებული სახელმძღვანელოები 1-ლი კლასისათვის და სასწავლო პროგრამები, ალგებრა და ანალიზის საწყისები (IX კლ.), ბიოლოგია (IX კლ.). სულ არ მიუღიათ კონტინენტების ფიზიკური გეორგაფია (VI კლ.), საქართველოს ფიზიკური გეოგრაფია (VII კლ.). 4) სკოლებს უძნელდებათ რადიოკვანძისა და სწავლების ტექნიკური საშუალებების მონტაჟი (ჯგუფური საკონტროლო მანქანები).	სახელმძღვანელოების სამმართველო, მომარაგების მთავარი სამმართველო სახელმძღვანელოების სამმართველო მომარაგების მთავარი სამმართველო

1	2	3	4
10	მახარაძის რაიონის მეთოდკაბინეტის მეთოდისტი ნ. გელაშვილი	განმეორებით დაისტამბოს და მეტი ტირაჟით გამოიცეს სკოლამდელთათვის განკუთვნილი მხატვრული თვალსაჩინო და მეთოდური ლიტერატურა, აგრეთვე, სურათების სერიები და სხვა.	სახელმძღვანელოების სამმართველო
11	ვაკიჯვრის საშუალო სკოლის მასწავლებელი ნ. ნიკოლაიშვილი	გახანგრძლივებული დღის ჯგუფების აღმზრდელებისათვის ქართულ ენაზე გამოიცეს მეთოდური ლიტერატურა	სკოლების სამმართველო
	მაკვანეთის საშუალო სკოლა მ. მსხილაძე	გაგრძელდეს და დამთავრდეს ამჟამად დაკონსერვებულ მდგომარეობაში მყოფი სასკოლო შენობის მშენებლობა	კაპიტალური მშენებლობის განყოფილება
12	წულუკიძის რაიონის განათლების განყოფილების გამგე ო. ადამია	მცირე რაოდენობით ღებულობენ პროგრამებსა და სასწავლო კინოფილმებს	სახელმძღვანელოებისა და მომარაგების მთავარი სამმართველოები
13	საჩხერის რაიონის განათლების განყოფილების გამგე ამხ. გ. აბჟანდაძე	ფილმოთეკას არა აქვს ავტომანქანა, რაც აფერხებს ფილმების დროულად მიწოდებას, სკოლებს მიღებული აქვთ ლინგაფონის კაბინეტები, რადიოკვანძები და სხვა ტექნიკური საშუალებანი, მაგრამ მათ დამონტაჟებას ვერ ახერხებენ, სათანადო სპეციალისტების უქონლობის გამო.	მომარაგების მთავარი სამმართველო
		სასკოლო ავეჯი დაბალი ხარისხისაა, მერხების ნომრები არ შეესაბამება ბავშვთა ასაკს, სკამები დაჯდომისთანავე იშლება.	მომარაგების მთავარი სამმართველო
14	ცაგერის რაიონის ცხუკუშერის საშუალო სკოლის რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი სვანიძე	საჭიროა გადაისინჯოს და გადამუშავდეს რუსული ენისა და ლიტერატურის მე-9 კლასის სახელმძღვანელო.	სკოლების სამმართველო
15	საგარეჯოს რაიონის განათლების განყოფილების გამგე ნ. ჭანტურია	1) ნინოწმინდის რვაწლიანი სკოლა ავარიულ მდგომარეობაშია, სახიფათოა შენობაში გაკვეთილების ჩატარება.	კაპიტალური მშენებლობის განყოფილება

1	2	3	4
		2) რაიონი განიცდის რიგ საგნებში მასწავლებელთა კადრების ნაკლებობას, ვერ კმაყოფილდება მასწავლებელთა კადრებზე მოთხოვნები.	კადრების სამმართველო
		წელს რაიონში გამოგზავნილი რუსული ენის 11 მასწავლებლიდან ადგილზე მხოლოდ 3 გამოცხადდა.	„——“
		3) უმაღლეს სასწავლებლებში უკონკურსოდ ჩასარიცხ ლიმიტებს წლის ბოლოს გზავნიან, ამიტომ არ ესწრება კანდიდატურების სწორად შერჩევა და გამოყოფილი ლიმიტები აუთვისებელი რჩება.	„——“
	საგარეჯოს 1-ლი საშუალო სკოლის დირექტორი მათიაშვილი	4) სკოლები ცუდად მარაგდებიან ხარისხიანი სასკოლო ინვენტარით, დახაზული დაფებით და სხვა.	მომარაგების მთავარი სამმართველო
		5) უდაბნოში რვაწლიანი სკოლის ნაცვლად საჭიროა გათვალისწინებულ იქნას საშუალო სკოლის მშენებლობა, დროულად ვერ ღებულობენ სასწავლო პროგრამებს.	კაპიტალური მშენებლობის განყოფილება, სახელმძღვანელოების სამმართველო
16	სამტრედიის რაიკომის პირველი მდივანი თ. იმედაძე	გაიხსნას თვალსაჩინოების მაღაზია სამტრედიაში, შემცირდეს სპეცსკოლის მოსწავლეთა მიერ ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის ხმარების ვადა.	მომარაგების მთავარი სამმართველო, სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველო
	საჯავახოს საშუალო სკოლის დირექტორი გ. ზაქარეიშვილი	სკოლები არ მარაგდებიან შრომითი სწავლებისათვის აუცილებელი მერქნისა და ლითონის მასალებით და სახელოსნოების მოწყობილობა-დანადგარებით.	მომარაგების მთავარი სამმართველო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

1	2	3	4
		სამტრედიის რაიონში არის ავარიულ მდგომარეობაში მყოფი 3 რვაწლიანი (ტოლების, დაფნარის წიაღუბნის) და 2 საშუალო (იანეთის და კორმაღალის) სკოლა.	კაპიტალური მშენებლობის განყოფილება
17	ხაშურის რაიონის ქვიშხეთის რვაწლიანი სკოლის დირექტორი სუთიშვილი ცხრამუხის რვაწლიანი სკოლის დირექტორის მოადგილე	დროულად ვერ ვღებულობთ სახელმძღვანელოებს; სკოლები ღებულობენ დაბალი ხარისხის საწვავს მოსწავლეთა კონტინგენტის გაზრდასთან დაკავშირებით მიზანშეწონილია ცხრამუხის რვაწლიანი სკოლა გადაკეთდეს საშუალო სკოლად.	სახელმძღვანელოების სამმართველო, მომარაგების მთავარი სამმართველო, საგეგმო-საფინანსო სამმართველო
18	მაიაკოვსკის რაიონის განათლების განყოფილების გამგე მ. თავხელიძე	საჭიროა გადაისინჯოს ფონდების განაწილების შესაბამისობა მშენებლობის ვადებთან. მშენებლობა და სარემონტო სამუშაოები, ძირითადად, სრულდება ზაფხულის პერიოდში (ე. ი. მე-3 კვარტალში), ფონდირებული მასალები კი ნაწილდება მე-4 კვარტლისათვის.	კაპიტალური მშენებლობის განყოფილება
		რაიონის სკოლებს აკლიათ რუსული და უცხოური ენების მასწავლებლები.	კადრების სამმართველო
		უნდა მოწესრიგდეს სახელმძღვანელოებით, თვალსაჩინო მასალებით, სწავლების ტექნიკური საშუალებებით მომარაგების საკითხი. ყოველივე ეს არათანაბრად ნაწილდება. დეფიციტია მცირეფასიანი საგნები, ხოლო ძვირადღირებული ტელევიზორები და სხვა არ არის საჭირო დიდი რაოდენობით.	მომარაგების მთავარი სამმართველო სახელმძღვანელოების სამმართველო
19	ლაგოდეხის რაიონის ვარდისუბნის საშუალო სკოლის დირექტორი რ. ჩხეიძე	რაიონის სავაჭრო ქსელის მაღაზიებში არ არის რვეულები და ბურთულიანი საწერი კალმები.	სახელმძღვანელოების სამმართველო, მომარაგების მთავარი სამმართველო

1	2	3	4
	მეთოდკაბინეტის გამგე ზ. სუდაძე	ფილმოთეკას არ აქვს ავტოტრანსპორტი, რის მიზეზითაც ფერხდება სკოლების ფილმებით მომარაგება.	
		რაიონში არ არის ორგანიზაცია, რომელიც პერიოდულად შეაკეთებს მწყობრიდან გამოსულ სასწავლო-ტექნიკურ საშუალებებს.	მომარაგების მთავარი სამმართველო
	ლაგოდეხის 1-ლი საშუალო სკოლის დირექტორი	სკოლები არ მარაგდება დაწყებითი კლასების შესაბამისი დგამ-ავეჯით.	მომარაგების მთავარი სამმართველო
20	ჩოხატაურის რაიონის განათლების განყოფილების გამგე მ. კეკელიძე	სუსტია რაიონის სასწავლო-საწარმოო კომბინატის სასწავლო-მატერიალური ბაზა. კაბინეტს სულ სამი საკერავი მანქანა აქვს, არ ღებულობენ ქსოვილებს, მოუგვარებელია მოსწავლეთა ტრანსპორტირების საქმე, ამიტომ საჭიროა კომბინატს გამოეყოს სამგზავრო ავტობუსი.	სკოლების სამმართველო, მომარაგების მთავარი სამმართველო
21	დმანისის რაიონის 1-ლი საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე ე. დიაკოვა	სასკოლო შენობის გათბობის სისტემა მოუწესრიგებელია, არ თბება სასწავლო კაბინეტები და საკლასო ოთახები.	კაპიტალური მშენებლობის განყოფილება
	მეთოდკაბინეტის გამგე ტ. გაჯიევი	დმანისის რაიონის მეთოდკაბინეტი არადამაკმაყოფილებლად მარაგდება მეთოდური ლიტერატურით, დიდაქტიკური მასალებით და თვალსაჩინო საშუალებებით აზერბაიჯანულ ენაზე.	სახელმძღვანელოების სამმართველო
	დმანისის რაიონის სამხედრო კომისარი რაგულსკი	სკოლებში დაბალ დონეზე დგას რუსული ენის სწავლება, რის გამოც წვევამდელები არ ფლობენ რუსულ ენას.	სკოლების სამმართველო
	შინდლიარის საშუალო სკოლის მასწავლებელი იბრაგიმოვი	უხარისხოდ ბარდება სასკოლო შენობები, გასულ წელს აშენებული სასკოლო შენობების სახურავიდან წვიმა ჩამოდის,	კაპიტალური მშენებლობის განყოფილება

ეროვნული ბიბლიოთეკა

1	2	3	4
	განთიადის საშუალო სკოლის მასწავლებელი ა. ანდრიაშვილი	არადამაკმაყოფილებელია მუშაობა კადრებთან, რაიონის სკოლებში არის მასწავლებელთა დიდი რაოდენობა საშუალო განათლებით და არავინ არ ზრუნავს მათ უმაღლეს სასწავლებლებში ჩასაბმელად.	კადრების სამმართველო
22	წალკის რაიონის განათლების განყოფილების ინსპექტორი ვ. პოპოვი	საჭიროდ მიიჩნევენ მოსამზადებელი კლასების შეუზღუდველად გახსნას კონტინგენტის არსებობის პირობებში.	საგვგმო-საფინანსო სამმართველო
		დაბა ხრამჰესში საჭიროა გაიხსნას სკოლა-ინტერნატი. რაიონში არ არის ორგანიზაცია, რომელსაც შეუძლია შეასრულოს გათბობის სისტემის რემონტი, რაც დიდ სირთულეებს უქმნის სასკოლო და სკოლამდელ დაწესებულებათა მუშაობას.	სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველო კაპიტალური მშენებლობის განყოფილება
	სასწავლო-საწარმოო კომბინატის დირექტორი ფოტოვი	მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალურმა ინსტიტუტმა მოაწყოს საგნის მასწავლებელთა მოკლევადიანი კურსები სწავლების ტექნიკურ საშუალებათა გამოყენების შესასწავლად (ადგილებზე ან თბილისში).	კადრების სამმართველო
	რეხის საშუალო სკოლის დირექტორი ი. საბაძე	სოფლის მასწავლებლები წლების განმავლობაში არ არიან უზრუნველყოფილნი სათბობით ზამთრის სეზონისათვის (ქვანახშირი).	„——“
3	წყალტუბოს ზონის განათლების განყოფილების გამგე მ. ინასარიძე	ახალი პროგრამებით მუშაობა, რომლის ძირითადი მიმართულებაა საგანთა შორის კავშირი, დღის წესრიგში აყენებს სკოლებში ციკლობრივი მეთოდგაერთიანების შემოღებას.	სკოლების სამმართველო
	მაღლაკის რვაწლიანი სკოლის დირექტორი ე. მამაგეიშვილი	სკოლები არ მარაგდება ტექნიკური შრომისათვის საჭირო მასალებით, რაც აფერხებს პროგრამული მასალის საფუძვლიანად შესწავლას.	მომარაგების მთავარი სამმართველო

ПОСТАНОВЛЕНИЕ

БЮРО ЦК ЛКСМ ГРУЗИИ И КОЛЛЕГИИ МИНИСТЕРСТВА ПРОСВЕЩЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

О проведении Республиканской научно-творческой конференции по математике и физике старшеклассников средних школ республики, посвященной 60-летию создания Союза Советских Социалистических Республик

15 октября 1981 года

Придавая важное значение дальнейшему улучшению воспитательной работы в средних школах Бюро ЦК ЛКСМ Грузии и коллегия Министерства просвещения Грузинской ССР постановляют;

1. Принять предложение Совета молодых ученых и специалистов ЦК ЛКСМ Грузии о проведении Республиканской научно-творческой конференции по математике и физике старшеклассников средних школ республики, посвященной 60-летию создания Союза Советских Социалистических Республик в г. Кутаиси на базе Физико-математической школы-интерната в марте 1982 года сроком на 5 дней.

2. Утвердить количество участников конференции из Грузинской ССР — 50 человек, а также иногородных участников из следующих городов; Москва, Баку, Ереван, Ленинград, Новосибирск, Киев — до 30 человек.

3. Программу проведения научно-творческой конференции утвердить (приложение № 1).

4. Оргкомитет по подготовки научно-творческой конференции утвердить (приложение № 2).

5. Смету расходов по проведению научно-творческой конференции утвердить.

6. Ответственность за проведение научно-творческой конференции на высоком организационном уровне возложить на Отдел учащейся молодежи ЦК ЛКСМ Грузии и Совет молодых ученых и специалистов ЦК ЛКСМ Грузии, Управление школ-интернатов и детских домов Министрерства просвещения Грузинской ССР.

Секретарь ЦК ЛКСМ Грузии — **И. Орджоникидзе**

Министр просвещения ГССР — **О. Кинкладзе**

Приложение № 1

Программа

научно-творческой конференции по математике и физике старшеклассников средних школ республики

I день

8^{00} — 12^{00} приезд и размещение участников
15^{00} — 20^{00} ознакомление с городом

II день

10^{00} — 11^{00} открытие конференции
11^{30} — 14^{00} работа по секциям
16^{00} — 18^{00} работа по секциям
19^{00} — встреча с творческой молодежью г. Кутаиси

III день

10^{00} — 13^{00} работа по секциям
15^{00} — 17^{00} работа по секциям
19^{00} — встреча с лауреатами премии комсомола Грузии

IV день

10^{00} — 13^{00} работа по секциям
15^{00} — 17^{00} работа по секциям
19^{00} — встреча с викными физиками и математиками республжики

V день

10^{00} — 12^{00} закрытие конференции. Награждение участников
13^{00} — 15^{00} прием в горкоме комсомола
Отьезд участников

Приложение № 2

Оргкомитет

подготовки научно-творческой конференции

1. Кобахидзе М. — зам. Министра просвещения ГССР (председатель)

2. Циклаури М. — Секретарь ЦК ЛКСМ Грузии (зам. председателя)

3. Меладзе Г. — зав. кафедрой ТГУ, председатель Совета молодых ученых и специалистов ЦК ЛКСМ Грузии (зам. председателя)

4. Жижиашвили Л. — член-корреспондент АН ГССР, зав. кафедрой ТГУ

5. Цинцандзе Н. — зам. директора Института физики АН ГССР, профессор

6. Бендукидзе А. — редактор журнала «физика да математика сколаши»

7. Тутберидзе Г. — начальник Управления школ-интернатов и детских домов Министерства просвещения ГССР

8. Меладзе В. — директор Республиканского методкабинета школ-интернатов и детских домов

9. Жгенти Т. — директор Республиканского дворца пионеров и школьников им. Б. Дзнеладзе

10. Букиа Т. — зав. Отделом учащейся молодежи ЦК ЛКСМ Грузии

11. Соколов З. — зав. Отделом научной молодежи ЦК ЛКСМ Грузии, кандидат биологических наук

12. Гонгадзе А. — кандидат физико-математических наук, зам. председателя СМУС ЦК ЛКСМ Грузии

13. Надирадзе Р. — научный сотрудник Института математики АН ГССР, кандидат физико-математических наук

14. Хецадзе Н. — научный сотрудник ТГУ

15. Читаиа Н. — асистент ТГУ

16. Кавлашвили В. — зав. Отделом народного образованиия г. Кутаиси

17. Гветадзе Э. — директор Кутаисской физико-математической школы-интерната

18. Абесадзе А. — Первый секретарь Кутайсского горкома ЛКСМ Грузии

19. Лекишвили Н. — председатель СМУС г. Кутаиси, зав. кафедрой Кутайсского политехнического института

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს კოლეგიების, საქართველოს სსრ თეატრალური საზოგადოების პრეზიდიუმის 1981 წლის 15 ოქტომბრის გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

რესპუბლიკაში თეატრალური ხელოვნების კვირეულის „თეატრი და ბავშვები“ ჩატარების შესახებ

1. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს კოლეგიების, საქართველოს სსრ თეატრალური საზოგადოების პრეზიდიუმის 1974 წლის 27 დეკემბრის დადგენილების „მოსწავლე ახალგაზრდობის იდეურ-ზნეობრივ აღზრდაში თეატრის როლის გაძლიერების შესახებ“ შესაბამისად თეატრალური ხელოვნების მე-7 რესპუბლიკური კვირეული „თეატრი და ბავშვები“ ჩატარდეს მიმდინარე წლის 7 — 14 დეკემბერს.

საზეიმო გახსნა მოეწყოს 7 დეკემბერს ქ. ბათუმში , კვირეულის დასკვნითი საღამო ჩატარდეს 14 დეკემბერს ქ. თბილისში.

2. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველომ, აღმზრდელობითი მუშაობის რესპუბლიკურმა სამეცნიერო-მეთოდურმა ცენტრმა, კულტურის სამინისტროსა და თეატრალურ საზოგადოებასთან შეთანხმებით, 1981 წლის 15 ოქტომბრამდე შეიმუშაოს კვირეულის ჩატარების გეგმა და უხელმძღვანელოს რესპუბლიკაში მის მსვლელობას.

3. სახალხო განათლებისა და კულტურის ადგილობრივმა განყოფილებებმა, კომკავშირის საოლქო, საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა, თეატრალური საზოგადოების განყოფილებებმა, თეატრებმა, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებმა და სკოლისგარეშე დაწესებულებებმა უზრუნველყონ ადგილებზე თეატრალური ხელოვნების კვირეულის მაღალ დონეზე ჩატარება. გამოიყენონ იგი თეატრისა და სკოლის შემდგომი ურთიერთობის გასამტკიცებლად.

4. თეატრალური ხელოვნების კვირეულის „თეატრი და ბავშვები“ ჩატარებისათვის საჭირო თანხები გაღებულ იქნას წილობრივი წესით.

5. დამტკიცდეს კვირეულის რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტის შემადგენლობა (დანართი № 1).

6. ჟურნალების „საბჭოთა ხელოვნების“, „სკოლა და ცხოვრების“, „თეატრალური მოამბის“, გაზეთის „სახალხო განათლების“ რედაქციებმა ფართოდ გააშუქონ თეატრალური ხელოვნების კვირეულის მიმდინარეობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

7. ეთხოვოს საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტს გააშუქოს რესპუბლიკაში თეატრალური ხელოვნების კვირეულის მსვლელობა.

8. კონტროლი კვირეულის ორგანიზაციასა და ჩატარებაზე დაევალოს განათლების სამინისტროს აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველოს (ამხ. ე. ზარქუა).

საქართველოს სსრ განათლების
მ ი ნ ი ს ტ რ ი ო. ჭინჭლაძე

საქართველოს სსრ კულტურის მ ი ნ ი ს ტ რ ი
ო. თაქთაქიშვილი

საქართველოს სსრ თეატრალური
საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარე
დ. ალექსიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

საორგანიზაციო კომიტეტის შემადგენლობა

1. ზ. ლომიძე — საქართველოს სსრ განათლების მინისტრის პირველი მოადგილე (საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე)
2. ი. გამრეკელი — საქართველოს სსრ კულტურის მინისტრის მოადგილე (საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე)
3. მ. ცანავა — საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის კულტურის განყოფილების ინსტრუქტორი
4. ო. ეგაძე — საქართველოს სსრ თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილე (საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე)
5. ვ. წულუკიძე — აჭარის ასსრ განათლების მინისტრი
6. ლ. ჩიქვანაია — ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს უფროსი
7. ე. ზარქუა — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველოს უფროსი
8. თ. მდივანი — საქართვლოს სსრ განათლების სამინისტროს აღმზრდელობითი მუშაობის რესპუბლიკური სამეცნიერო-მეთოდური ცენტრის დირექტორი
9. ფ. ფუხაევა — სამხრეთ ოსეთის ა/ო განათლების განყოფილების გამგე
10. თ. კოღონია — აფხაზეთის ასსრ განათლების მინისტრი
11. გ.მახარაძე — აჭარის ასსრ კულტურის მინისტრი
12. ა.არღუნია — აფხაზეთის ასსრ კულტურის მინისტრი
13. ჯ. კეჭეყმაძე — აღმზრდელობითი მუშაობის რესპუბლიკური სამეცნიერო-მეთოდური ცენტრის დირექტორის მოადგილე
14. ც. ახვლედიანი — აღმზრდელობითი მუშაობის რესპუბლიკური სამეცნიერო--მეთოდური ცენტრის ესთეტიკური აღზრდის განყოფილების გამგე
15. ნ. გურაბანიძე — ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნების“ რედაქტორი
16. ნ. შველიძე — გაზეთ „სახალხო განათლების“ რედაქტორი
17. ა. გოგელია — ჟურნალ „სკოლა და ცხოვრების“ რედაქტორი
18. მ. ჩხარტიშვილი — საქართველოს ტელევიზიის ახალგაზრდულ გადაცემათა რედაქტორი
19. თ. ხომერიკი — საქართველოს ტელევიზიის საბავშვო გადაცემათა მთავარი რედაქტორი

ეროვნული

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს კოლეგიისა და საქართველოს სსრ „დოსაააფის“ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის 1981 წლის 15 ოქტომბრის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

მოსწავლე ავტომობილისტთა მე-3 რესპუბლიკური შეჯიბრების შედეგებისა და მე-4 რესპუბლიკური შეჯიბრების ჩატარების შ ე ს ა ხ ე ბ

მოსწავლე ავტომობილისტთა მე-3 რესპუბლიკური შეჯიბრება ორგანიზებულად და მაღალ დონეზე ჩატარდა.

შეჯიბრების დასკვნით ეტაპში მონაწილეობა მიიღო ქ. ქ. სოხუმის მე-14, ბათუმის მე-20, ცხინვალის მე-3, თბილისის 66-ე, ქუთაისის მე-2, გორის 1-ლი, ვანის რაიონის სოფელ ქვედა გორისა და სიღნაღის რაიონის სოფელ ტიბაანის ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლების უფროსი კლასების მოსწავლეთა გუნდებმა.

სპეციალურმა ჟიურიმ შეჯიბრების შედეგების მიხედვით პირველი ადგილი მიაკუთვნა ქუთაისის მე-2 საშუალო სკოლის გუნდს, მეორე ადგილი — თბილისის 66-ე საშუალო სკოლის გუნდს, ხოლო მესამე ადგილი — სოხუმის მე-14 საშუალო სკოლის გუნდს.

საპრიზო ადგილებზე გამოსულ გუნდებსა და მონაწილე სპორტსმენებს საზეიმო ვითარებაში გადაეცათ პრიზები, დიპლომები, სიგელები და ფასიანი საჩუქრები.

მოსწავლე ავტომობილისტთა მე-3 რესპუბლიკურ დასკვნით ტურში გამარჯვებულმა ქუთაისის მე-2 საშუალო სკოლის გუნდმა მონაწილეობა მიიღო ქ. ტალინში გამართულ მოსწავლე ავტომობილისტთა მე-13 საკავშირო შეჯიბრებაში „ზა რულიომ“-ის პრიზზე და მე-9 ადგილი დაიკავა.

მოსწავლე ავტომობილისტთა მე-4 რესპუბლიკური შეჯიბრების ორგანიზებულად და მაღალ დონეზე ჩატარების მიზნით საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიამ, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს კოლეგიამ და საქართველოს სსრ „დოსაააფის“ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ე ს:

1. მოსწავლე ავტომობილისტთა მე-4 რესპუბლიკური შეჯიბრება 1981-1982 სასწავლო წელს ჩატარდეს სამ ეტაპად: რაიონული (საქალაქო), ზონალური და რესპუბლიკური. რაიონული (საქალაქო) შეჯიბრება ჩატარდეს 1982 წლის 1 მარტამდე, ზონალური — 1982 წლის 10-11 აპრილს, ხოლო დასკვნითი რესპუბლიკური 10-12 ივნისს.

2. მოსწავლე ავტომობილისტთა მე-4 რესპუბლიკური შეჯიბრების ხელმძღვანელობისათვის დამტკიცდეს რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტი შემდეგი შემადგენლობით:

ლომიძე ზ. ა. — საქართველოს სსრ განათლების მინისტრის პირველი მოადგილე, რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე

ჩხეიძე თ. ლ. — საქართველოს სსრ „დოსაააფის“ ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე

წიკლაური მ. ნ. — საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი

გორგოძე ლ. ი. — საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო ავტოინსპექციის სამმართველოს უფროსი

სუჯაშვილი კ. ა. — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველოს უფროსი, კოლეგიის წევრი

კერესელიძე ო. ნ. — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საგეგმო-საფინანსო სამმართველოს უფროსი

ორახელაშვილი ა. ა. — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს დაწყებითი-სამხედრო მომზადების განყოფილების უფროსი

ჯიქია თ. გ. — საქართველოს სსრ ავტომოყვარულთა ნებაყოფლობითი საზოგადოების ცენტრალური საბჭოს სასწავლო მუშაობის ორგანიზაციის განყოფილების გამგე

წიქარიშვილი პ. გ. — საქართველოს სსრ ავტოსატრანსპორტო სამინისტროს სახაზო კონტროლისა და მოძრაობის უსაფრთხოების უფროსი ინჟინერი

ტონია ს. კ. — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სასკოლო ინსპექტორი საორგანიზაციო კომიტეტის მდივანი

დობორჯგინიძე ზ. ს. — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სასკოლო ინსპექტორი

ეპიტაშვილი გ. გ. — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის დირექტორი

სავიცკი ვ. ა. — საქართველოს სსრ „დოსაააფის“ რესპუბლიკური კლუბის უფროსი

3. დამტკიცდეს მოსწავლე ავტომობილისტთა შეჯიბრების ჩატარების დებულება (თან ერთვის).

4. მოსწავლე ავტომობილისტთა მე-4 რესპუბლიკური შეჯიბრების ჩამტარებელმა რესპუბლიკურმა კომიტეტმა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. 1. შეადგინოს სამუშაო გეგმა, უხელმძღვანელოს მოსწავლე ავ-ტომობილისტთა შეჯიბრების ჩატარებას და გაწეული მუშაობის მიმდინარეობის შესახებ პერიოდულად მოახსენოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს სსრ „დოსაააფის" ცენტრალურ კომიტეტს;

4. 2. დროულად ჩაატაროს მოსწავლე ავტომობილისტთა შეჯიბრების მოსამზადებელი მუშაობა და რაიონები (ქალაქები) უზრუნველყოს სახელმძღვანელო და მეთოდური მასალებით;

4. 3. განახორციელოს მოსწავლე ავტომობილისტთა რაიონული (საქალაქო) და ზონალური შეჯიბრების ჩატარებაზე ხელმძღვანელობა, დახმარება და კონტროლი.

5. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებათა გამგეებმა, ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველომ:

5. 1. განახორციელონ ხელმძღვანელობა, დახმარება და კონტროლი მოსწავლე ავტომობილისტთა მე-4 რესპუბლიკური შეჯიბრების რაიონული (საქალაქო) და ზონალური ეტაპების ჩატარებაზე.

6. ზონის ცენტრის სახალხო განათლების განყოფილებათა გამგეებმა 1982 წლის 20 იანვრამდე წარმოადგინონ ცნობა ზონის საორგანიზაციო კომიტეტის შემადგენლობის შესახებ.

7. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების „დოსაააფის" რესპუბლიკური, საქალაქო და რაიონული კომიტეტების თავმჯდომარეებმა:

7. 1. განახორციელონ ხელმძღვანელობა, დახმარება და კონტროლი მოსწავლე ავტომობილისტთა მე-4 რესპუბლიკური შეჯიბრების რაიონული (საქალაქო) და ზონალური ეტაპების ორგანიზებულად ჩატარებაზე;

7. 2. დახმარება აღმოუჩინონ მოსწავლე ავტომობილისტთა რაიონული (საქალაქო) და ზონალური შეჯიბრების ჩამტარებელ საორგანიზაციო კომიტეტებს შეჯიბრებისათვის საჭირო პოლიგონების შერჩევისა და მოწყობის საქმეში;

7. 3. გამოყონ მოსწავლე ავტომობილისტთა რაიონული (საქალაქო) და ზონალური შეჯიბრების მაღალ დონეზე ჩატარებისათვის საჭირო რაოდენობის ავტომანქანები;

7. 4. შექმნან მსაჯთა კოლეგია სათანადო სპეციალისტებისაგან მოსწავლე ავტომობილისტთა შეჯიბრებაში გამარჯვებული გუნდების გამოსავლინებლად მთავარი მსაჯის, მთავარი მდივნისა და 7 წევრის შემადგენლობით.

8. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საგეგმო-საფინანსო სამმართველომ (ამხ. ო. ჯერესელიძე) ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალუ-

ري სადგურის ბიუჯეტში 1982 წლისათვის გაითვალისწინოს მოსწავლე ავტომობილისტთა მე-4 რესპუბლიკურ შეჯიბრებაში გამარჯვებული გუნდის ორკვირიანი შეკრების ჩატარებისათვის საჭირო ხარჯები.

9. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მომმართველების მთავარმა სამმართველომ (ამხ. კ. ძლიერიშვილი) ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალურ სადგურს 1982 წლისათვის გამოუყოს მოსწავლე ავტომობილისტთა მე-4 რესპუბლიკური შეჯიბრების ჩატარებისათვის საჭირო რაოდენობის ქაღალდი

10. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს დაწყებითი-სამხედრო მომზადების განყოფილებამ (ამხ. ა. ორახელაშვილი):

10. 1. უშუალო მონაწილეობა მიიღოს მოსწავლე ავტომობილისტთა რაიონული (საქალაქო), ზონალური და რესპუბლიკური შეჯიბრებების ჩატარებაში;

10. 2. უზრუნველყოს მოსწავლე ავტომობილისტთა მე-4 რესპუბლიკურ, ზონალურ და რაიონულ (საქალაქო) შეჯიბრებებში მონაწილე გუნდების წევრთა მომზადება მცირეკალიბრიანი შაშხანიდან სროლაში;

10. 3. უზრუნველყოს მოსწავლე ავტომობილისტთა მე-14 საკავშირო შეჯიბრებისათვის მე-4 რესპუბლიკურ შეჯიბრებაში გამარჯვებული გუნდის წევრთა ვარჯიში მცირეკალიბრიანი შაშხანიდან სროლაში.

11. მოსწავლე ავტომობილისტთა რესპუბლიკურ შეჯიბრებაში მონაწილე გუნდების ყველა წევრისათვის დაწესდეს სამახსოვრო სამკერდე ნიშნები.

12. გაზეთ „სახალხო განათლებისა“ და ჟურნალ „სკოლა და ცხოვრების რედაქტორებმა (ამხ. ნ. ვ. შველიძე და ა. დ. გოგელია) დააწესონ თითო პრიზი მოსწავლე ავტომობილისტთა მე-4 რესპუბლიკურ დასკვნით შეჯიბრებაში გამარჯვებული გუნდებისათვის; პერიოდულად გამოაქვეყნონ მასალები მოსწავლე ავტომობილისტთა რესპუბლიკური შეჯიბრების მიმდინარეობის შესახებ.

13. მოსწავლე ავტომობილისტთა მე-4 რესპუბლიკურ შეჯიბრებაში გამარჯვებული გუნდებისათვის დაწესდეს ოთხი სამახსოვრო პრიზი, მათ შორის:

— საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სამი პრიზი;

— საქართველოს სსრ „დოსაააფის“ ცენტრალური კომიტეტის ერთი პრიზი.

14. ეთხოვოს საქართველოს ალკკ ცენტრალურ კომიტეტს დააწესოს სამი პრიზი მოსწავლე ავტომობილისტთა მე-4 რესპუბლიკური შეჯიბრებაში გამარჯვებული გუნდისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

15. ეთხოვოს საქართველოს სსრ ავტოსატრანსპორტო სამინისტროს დააწესოს მოსწავლე ავტომობილისტთა მე-4 რესპუბლიკურ შეჯიბრებაში გამარჯვებული გუნდებისათვის ერთი გარდამავალი და სამი სამახსოვრო პრიზი.

16. გადაწყვეტილების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველოს (ამხ. კ. სუჯაშვილი).

საქართველოს სსრ განათლების მინისტრი Ო. დ. ქინქლაძე

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრი ბ. დ. გვეტაძე

საქართველოს სსრ „დოსაააფის" ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე ვ. ნ. ჯანჯღავა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსწავლე ავტომობილისტთა მე-4 რესპუბლიკური შეჯიბრების ჩატარების დ ე ბ უ ლ უ ბ ა

მოსწავლე ავტომობილისტთა მე-4 რესპუბლიკურ შეჯიბრებას ატარებენ საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო, საქართველოს სსრ „დოსააფის“ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტრო ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის ბაზაზე, საქართველოს სსრ ავტოტრანსპორტის სამინისტროს, საქართველოს სსრ ავტომობილისტთა ნებაყოფლობითი საზოგადოების ცენტრალური საბჭოსა და საქართველოს სსრ „დოსააფის“ რესპუბლიკური სასპორტო კლუბის მონაწილეობით.

შეჯიბრების მიზანი

მოსწავლეთა შორის ავტომობილისა და საავტომობილო სპორტისადმი ინტერესის აღზრდა, სამხედრო გამოყენებითი ჩვევების გამომუშავება, ფიზიკულტურული კომპლექსის მშთ მე-3 საფეხურის „ძალა და გამბედაობა“ ნორმების შესრულებისადმი ხელის შეწყობა.

შეჯიბრების ორგანიზაცია და ჩატარების წესები

შეჯიბრების ორგანიზატორები არიან საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო, საქართველოს სსრ „დოსააფის“ ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტრო, საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრო და საქართველოს სსრ „დოსააფის რესპუბლიკური სასპორტო კლუბი.

მოსწავლე ავტომობილისტთა მე-4 რესპუბლიკური შეჯიბრება ტარდება სამ ეტაპად: რაიონული (საქალაქო), ზონალური და რესპუბლიკური. შესაბამისად იქმნება საორგანიზაციო კომიტეტები.

რაიონული (საქალაქო) საორგანიზაციო კომიტეტი განისაზღვრება 5 წევრით, კომიტეტის შემადგენლობას ამტკიცებს რაიონის (ქალაქის) სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომი.

ზონალური საორგანიზაციო კომიტეტის შემადგენლობა განისაზღვრება 11 წევრით. კომიტეტის შემადგენლობას ამტკიცებს ზონის ცენტრის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომი.

ზონალური შეჯიბრების ჩასატარებლად რესპუბლიკა დაყოფილია რვა ზონად, ზონების ცენტრებად შერჩეულია:

1. ქ. სოხუმი — აფხაზეთის ასსრ სკოლების მოსწავლეებისათვის
2. ქ. ბათუმი — აჭარის ასსრ, მახარაძის, ლანჩხუთისა და ჩოხატაურის რაიონების სკოლების მოწავლეებისათვის

3. ქ. ცხინვალი — სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ხაშურისა და ქარელის რაიონების სკოლების მოსწავლეებისათვის

4. ქ. თბილისი — ქ. თბილისის, ახალქალაქის, ბოლნისის, დმანისისა და თეთრიწყაროს რაიონების სკოლების მოსწავლეებისათვის

5. ქ. ქუთაისი — ქ. ქუთაისის, ამბროლაურის, ლენტეხის, მაიაკოვსკის, ონის, ორჯონიკიძის, საჩხერის, ტყიბულის, ზესტაფონის, ცაგერის, თერჯოლის, ჭიათურის, წულუკიძისა და წყალტუბოს რაიონების სკოლების მოსწავლეებისათვის

6. ქ. რუსთავი — ქ. რუსთავის, ახმეტის, გარდაბნის, გურჯაანის, ლაგოდეხის, მარნეულის, საგარეჯოს, სიღნაღის, ყვარლის, თელავის, წალკისა და წითელწყაროს რაიონების სკოლების მოსწავლეებისათვის

7. ქ. გორი — ქ. გორის, ახალციხის, ასპინძის, ადიგენის, ბორჯომის, გორის, დუშეთის, მცხეთის, კასპის, თიანეთისა და ყაზბეგის რაიონების სკოლების მოსწავლეებისათვის

8. ქ. ზუგდიდი — ქ. ზუგდიდის ქ. ფოთის, ზუგდიდის, აბაშის, გეგეჭკორის, ვანის, სამტრედიის, მესტიის, ხობის, ცხაკაიას, წალენჯიხისა და ჩხოროწყუს რაიონების სკოლების მოსწავლეებისათვის.

რაიონული (საქალაქო) ეტაპი ტარდება 1982 წლის 1 მარტამდე. რაიონული (საქალაქო) საორგანიზაციო კომიტეტი მოსწავლე ავტომობილისტთა შეჯიბრებაში პირველ ადგილზე გასული გუნდის წევრთა სიას წარადგენს ზონალურ საორგანიზაციო კომიტეტში 1982 წლის 10 მარტამდე, ზონალურ შეჯიბრებაში მონაწილეობის მისაღებად.

ზონალური შეჯიბრება ტარდება 1982 წლის 20-30 მარტს ერთდროულად ყველა გუნდისათვის.

მოსწავლე ავტომობილისტთა შეჯიბრებაში პირველ ადგილზე გასული და ზონალურ ტურში გამარჯვებული გუნდის სიას ზონის საორგანიზაციო კომიტეტი აგზავნის რესპუბლიკურ საორგანიზაციო კომიტეტში 1982 წლის 10 აპრილამდე.

მესამე ეტაპი — რესპუბლიკური შეჯიბრება ტარდება 1982 წლის 10-12 ივნისს ქ. თბილისში ერთდროულად რვა გამარჯვებული გუნდისათვის.

რესპუბლიკურ შეჯიბრებაში გამარჯვებული გუნდი, რომელიც პირველ ადგილს დაიკავებს, იგზავნება მოსწავლე ავტომობილისტთა მე-14 საკავშირო შეჯიბრებაში მონაწილეობის მისაღებად.

რესპუბლიკურ შეჯიბრებაში 1-ლ, მე-2, მე-3 ადგილზე გამოსული გუნდის წევრები (მოსწავლე ავტომობილისტები) ჯილდოვდებიან I, II, III ხარისხის სიგელებითა და ფასიანი პრიზებით.

ხარჯებს გუნდის შეჯიბრების ადგილზე გასაგზავნად და უკან დასაბრუნებლად ეწევა საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო, აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბის სახალხო განათლების განყოფილებები.

შეჯიბრების მოწყობის, მოსწავლე ავტომობილისტთა ბინითა და კვებით უზრუნველყოფისა და სხვა ხარჯებს გაიღებს საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო, აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქისა და ზონის ცენტრის სახალხო განათლების განყოფილებები.

შეხვედრის პროგრამა

მოსწავლეები ეჯიბრებიან საავტომობილო მრავალჭიდში, რომელიც შეიცავს შემდეგ ელემენტებს:

1. საგზაო მოძრაობის წესების მცოდნეთა კონკურსი
2. ავტოესტაფეტა
3. ჩქაროსნული მანევრირება (ავტომობილის ფიგურული ტარება)
4. მცირეკალიბრიანი შაშხანიდან სროლა (პირობები თან ერთვის)

გუნდების შემადგენლობა და უზრუნველყოფა

მოსწავლე ავტომობილისტთა მე-13 საკავშირო შეჯიბრებაში მონაწილეობს მე-13 რესპუბლიკურ შეჯიბრებაში გამარჯვებული გუნდი, რომელმაც დაიკავა პირველი ადგილი, რომელიც დაკომპლექტდა საშუალო სკოლის VIII-X კლასელთაგან, აგრეთვე წრეების, სექციებისა და ნორჩ ავტომობილისტთა კლუბების წევრებისგან.

რაიონის (ქალაქის) ნაკრები გუნდი ზონალურ და რესპუბლიკურ დასკვნით შეჯიბრებებში არ დაიშვება.

მონაწილე გუნდების რაოდენობას განსაზღვრავენ ორგანიზატორები. გუნდი შედგება 8 კაცისაგან (ხუთი მონაწილე, მათ რიცხვში ერთი ქალიშვილი, სათადარიგო, მწვრთნელი და ხელმძღვანელი).

გუნდი, რომელშიაც არ მონაწილეობს ქალიშვილი შეჯიბრზე არ დაიშვება.

ხარჯებს შეჯიბრების ადგილზე გასამგზავრებლად და უკან დასაბრუნებლად კისრულობს ორგანიზაცია ან დაწესებულება, ვისგანაც გუნდი იგზავნება.

შეჯიბრების ჩატარების ადგილი და დრო, მონაწილეთა მანქანები

ზონალური ტური ტარდება ზონის ცენტრებში, ხოლო რესპუბლიკური ქ. თბილისში.

სკოლებში შეჯიბრებისათვის მზადება ტარდება შტატით განკუთვნილ მანქანებზე.

რაიონულ (ზონალურ) და რესპუბლიკურ შეჯიბრებებს ავტომანქანებით „მოსკვიჩ“ -412 უზრუნველყოფენ ზოგადასგანმანათლებლო სკოლები და „დოსაფის“ ადგილობრივი ორგანიზაციები.

ზონალური ტურის გახსნა, დახურვა და გამარჯვებული გუნდის მოს-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წავლეთა დაჯილდოება ტარდება საზეიმო ვითარებაში.

შედეგების განსაზღვრა

გამარჯვებულები პირად ჩათვლაში განისაზღვრება საჯარიმო ქულების მინიმალური ჯამით, რომელიც ერიცხებათ ფიგურულ ტარებაში, სროლაში და მოძრაობის წესების ცოდნის გამოსარკვევად დასმულ საკონკურსო კითხვებზე გაცემული პასუხების მიხედვით.

თანაბარი ქულების შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება სპორტსმენს, რომელიც უჩვენებს საუკეთესო შედეგს ჩქაროსნულ მანევრირებაში. თუ მაჩვენებლები ამის შედეგად თანაბარი იქნება, მხედველობაში მიიღება საუკეთესო შედეგი სროლაში. თუ ამის შემდეგაც მაჩვენებლები თანაბარი იქნება, მაშინ მსაჯთა კოლეგია დანიშნავს დამატებით სავარჯიშოებს.

გამარჯვებული გუნდი მრავალჭიდის ცალკეულ სახეებში განისაზღვრება საჯარიმო ქულების მინიმალური ჯამით, რომლებიც ერიცხებათ გუნდის ოთხ მონაწილეს (მათ შორის გოგონას). ჩათვლაში არ შედის სპორტსმენი, რომელიც მიიღებს საჯარიმო ქულების მაქსიმალურ რაოდენობას. მრავალჭიდში გამარჯვებული გუნდი განისაზღვრება საჯარიმო ქულების მინიმალური რაოდენობით, რომელიც დაერიცხება გუნდს ჩქაროსნულ მანევრირებაზე, სროლაზე, საგზაო მოძრაობის წესების მცოდნეთა კონკურსზე და ავტოესტაფეტაზე.

ერთნაირი შედეგების შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება გუნდს, რომელსაც უკეთესი მაჩვენებლები აქვს ჩქაროსნულ მანევრირებაში. თუ კი ამ შემთხვევაშიც მაჩვენებლები იქნება თანაბარი, მაშინ მხედველობაში მიიღება შედეგები სროლაში. თუ შედეგები მაშინაც ერთნაირი აღმოჩნდება, ასეთი გუნდებიდან თითო მონაწილე, რომელთაც აქვთ ერთნაირი მაჩვენებელი, მსაჯთა კოლეგიის მითითებით შეასრულებს დამატებით სავარჯიშოებს.

გამარჯვებულთა დაჯილდოება

ზონაში გამარჯვებულ გუნდს და მის წევრებს აჯილდოვებს ზონის საორგანიზაციო კომიტეტი გარდამავალი პრიზით, სამახსოვრო დიპლომებითა და თასით.

რესპუბლიკურ შეჯიბრებაში გამარჯვებული გუნდი, რომელიც მრავალჭიდში მიღებული მინიმალური საჯარიმო ქულებით დაიკავებს პირველ ადგილს, ჯილდოვდება გარდამავალი თასით, სამახსოვრო პრიზითა და პირველი ხარისხის დიპლომით, ხოლო გუნდის წევრები პირველი ხარისხის სიგელებითა და ფასიანი საჩუქრებით.

გუნდი, რომელიც მეორე ადგილს დაიკავებს, ჯილდოვდება მეორე ხარისხის დიპლომით, ხოლო მისი წევრები მეორე ხარისხის სიგელებით.

გუნდი, რომელიც უჩვენებს საუკეთესო შედეგს ჩქაროსნულ მანევრირებაში, ჯილდოვდება საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს თასით, ხოლო მისი წევრები სიგელებით.

გუნდი, რომელიც უჩვენებს საუკეთესო შედეგს ავტოესტაფეტაში, ჯილდოვდება საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის თასით, მისი წევრები კი სიგელებით.

გუნდი, რომელიც უჩვენებს საუკეთესო შედეგს საგზაო მოძრაობის წესების მცოდნეთა კონკურსზე, ჯილდოვდება საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს თასით, მისი წევრები კი სიგელებით.

მონაწილეები, რომლებიც დაიკავებენ საპრიზო ადგილს პირადჩათვლაში, ცალკე გოგონები და ჭაბუკები, ჯილდოვდებიან პრიზებითა და დიპლომებით.

საპრიზო ადგილებზე გამოსული გუნდების ხელმძღვანელები და მწვრთნელები ჯილდოვდებიან დიპლომებით.

რესპუბლიკურ შეჯიბრებაში ყველა მონაწილეს მიეცემა სამახსოვრო ნიშნები.

განაცხადის მიცემა

№№	გვარი, სახელი, მამის სახელი	თანრიგი ავტოსპორტში	დაბადების წელი და თვე	სკოლის დასახელება და კლასი	შენიშვნა
1					
2					

საბოლოო განაცხადი გუნდზე მიეცემა მსაჯთა კოლეგიას რწმუნებათა შემოწმების დროს. განაცხადები დამტკიცებული უნდა იყოს სახალხო განათლების სარაიონო (საქალაქო) განყოფილების მიერ. მწვრთნელი მასწავლებელი ვალდებულია ყოველ მონაწილეზე მსაჯთა კოლეგიას წარუდგინოს ცნობა სკოლიდან, რომელი სკოლისა და კლასის მოსწავლეა, აგრეთვე მოწმობა მძღოლის პროგრამის გავლის შესახებ სკოლიდან, კლუბიდან ან ნორჩ ავტომობილისტთა წრეებიდან, ექიმის ცნობა ჯანმრთელობის შესახებ და ცნობა „მშთ“ ნორმების ჩაბარების შესახებ.

რაიმე მიზეზის გამო შეჯიბრებაში მონაწილეობაზე გუნდის უარის შემთხვევაში ხელმძღვანელი ვალდებულია ამის შესახებ წერილობით აცნობოს შეჯიბრების ჩამტარებელ საორგანიზაციო კომიტეტს არა უგვიანეს 12 დღისა შეჯიბრების დაწყებამდე.

ESTAFETA

ავტოესტაფეტა შედგება ხუთი სავარჯიშოსაგან:

პირველი — მოსწავლე № 1 იღებს სტარტს 15-20 მეტრის დაშორებით ავტომობილისაგან, რომელიც დგას სწორკუთხედში „ა“ (იხილეთ სქემა). მიირბენს რა მანქანასთან, ჩართავს ძრავას და წაიყვანს სწორკუთხედისაკენ — „ბ“. გზად ასრულებს „კლაკნილ“ სვლას, ეგრეთწოდებულ „კლაკნილას“. იგი აღინიშნება ოთხი დგარით, დეკორატიული ალმებით ზემოდან, შემზღუდველებს შორის მანძილი 6,0 მეტრია.

მეორე — გააჩერებს რა მანქანას სწორკუთხედში „ბ“, მონაწილე № 1 გამოდის კაბინიდან. როგორც კი დაიხურება კარი, მონაწილე № 2 ასწევს ყუთს, რომლის უჯრედებშიც იმყოფება ექვსი სფერო (სფეროები-ბურთები 110 მმ დიამეტრი, ამონაჭერი დაფაში-30 მმ) და მოათავსებს კაპოტზე, შემდეგ ჩართავს ძრავას და მიიყვანს მანქანას სწორკუთხედში „ვ“, ისე რომ არ ჩამოვარდეს სფერო-ბურთი.

მესამე — მონაწილე № 2 აჩერებს მანქანას სწორკუთხედში „ვ“, თვითონვე იღებს კაპოტიდან ყუთს სფერო-ბურთებით და მიაქვს სწორკუთხედ „ბ“-თან. მონაწილე № 3 წაიყვანს ავტომობილს სწორკუთხედისაკენ „გ“. გზად ასრულებს სავარჯიშო „წრე“-ს. ეს სავარჯიშო აღინიშნება ოთხი წყვილი იმავე სახელობის შემზღუდველით, როგორც გამოიყენება „კლაკნილას შესასრულებლად. შიგნითა შემზღუდველები დაყენებულია წრეხაზის ცენტრიდან 3,8 მეტრზე, გარეთა 6,2 მეტრზე.

მეოთხე — როგორც კი მანქანა გაჩერდება სწორკუთხედში „გ“, მონაწილე № 4 ჯდება საჭესთან და მიჰყავს ავტომანქანა სწორკუთდედში „დ“ გზად მან მარჯვენა საბურავებით უნდა გაიაროს 6,2 მეტრი სიგრძისა და 20 სანტიმეტრი სიგანის ფიცარი.

მეხუთე — ბოლო მონაწილე (№ 5) იმყოფება 15 მეტრზე სწორკუთხედიდან „დ“. როცა მანქანა გაჩერდება სწორკუთხედში, მონაწილე №5 მირბის მასთან, ჩართავს ძრავას და მიემართება სწორკუთხედისაკენ „ფინიში“. 20 მეტრის მანძილზე სწორკუთხედიდან „დ“ ბამაჟრას სიმაღლეზე კრონშტეინებზე იმყოფება ოვალური ფორმის ხის თამასა, რომელიც უნდა ჩამოგდებულ იქნას ერთჯერადი დამუხრუჭებით, ისე რომ არ წაიცნენ ძეგლები (დგარები), რომლებიც დგანან ხის თამასას უკან 30 სანტიმეტრზე (ინტერვალი კედლებს შორის 30 სანტიმეტრია). როგორც კი შესრულდება დამუხრუჭება, მსაჯი აფიქსირებს ესტაფეტის დამთავრების დროს.

ესტაფეტის პირობების დარღვევისათვის ერიცხებათ საჯარიმო ქულები:

ა) ყოველ წაქცეულ შემზღუდველზე 7 ქულა;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) ყოველ წაქცეულ კეგლზე ფინიშთან -12 ქულა (თუ თამასა არაა ჩამოგდებული, ან ჩამოგდებული იქნა ისე, რომ გადააფრინა კეგლებს- 40 ქულა);

გ) ყუთიდან ამოვარდნილ ყოველ ჰაერბურთზე — 7 ქულა;

დ) თუკი (6,5 მ) ფიცრიდან მის სრულ გავლამდე ჩამოვა თუნდაც ერთი თვალი — 10 ქულა;

ე) თუ ავტომობილის თვლები სავარჯიშოს შესრულების შემდეგ აღმოჩნდებიან სწორკუთხედის შემომსაზღვრელ ხაზზე ან ხაზს გარეთ — 5 ქულა (მანევრირება აკრძალულია). სწორკუთხედის ზომები 3, 2XI, 7 მ, სიგანე ხაზისა 10 მ;

ვ) თუ მონაწილემ სავარჯიშოს შესრულების შემდეგ არ ჩააქრო ძრავა — 7 ქულა.

ესტაფეტის შესასრულებლად დახარჯული დრო გადაიყვანება საჯარიმო ქულებში იმ ანგარიშით, რომ ერთი წამი ჩაითვალოს ერთ ქულად. ადგილები განისაზღვრება გუნდზე დარიცხული ქულების მინიმალური რაოდენობით ხოლო რომელმა სპორტსმენმა რომელი სავარჯიშო უნდა შეასრულოს, განისაზღვრება გუნდზე დარიცხული ქულების მინიმალური რაოდენობით, ხოლო რომელმა სპორტსმენმა რომელი სავარჯიშო უნდა შეასრულოს — განისაზღვრება მსაჯთა კოლეგიის მიერ ჩატარებული კენჭისყრით.

ჩქაროსნული მანევრირება

ჩქაროსნულ მანევრირებაში ჩართულია ექვსი ფიგურა ქვემოთ ჩამოთვლილი რიგიდან. მათი განლაგების თანმიმდევრობა და ავტომობილის მოძრაობის მიმართულება განისაზღვრება მსაჯთა კოლეგიით და გამოეცხადება მონაწილეებს შეჯიბრების წინ ვარჯიშის დროს. მსაჯთა კოლეგიას უფლება ეძლევა დაადგინოს საკონტროლო დრო „ფიგურების“ შესასრულებლად. ფიგურებს შორის მანძილი არანაკლებ 10 მეტრია. შემზღუდველებს შორის მანძილი — 1 მეტრი.

ავტომობილი იმყოფება სასტარტო ხაზზე (ხაზის სიგრძე 3 მეტრია, სიგანე 150 მმ). სპორტსმენი დგას ავტომობილთან, მსაჯის ნიშანზე ის ჯდება მანქანაში, რთავს ძრავას და გამოდის ტრასაზე.

სტარტებს შორის ინტერვალს განსაზღვრავს მსაჯთა კოლეგია იმ ანგარიშით, რომ ტრასაზე ერთდროულად ორზე მეტი სპორტსმენი არ აღმოჩნდეს და ერთმანეთს ხელი არ შეუშალონ.

ყველა ფიგურებს შორის და ფიგურებს შიგნითაც დასაშვებია ნებისმიერი მანევრირება. ავტომობილის კარის გაღება ნებადართულია მხოლოდ უკუსვლით მოძრაობის დროს.

ყველა მონაწილემ უნდა შეასრულოს ყველა სავარჯიშო (გაიაროს ყველა ფიგურა) დადგენილი თანმიმდევრობით. სპორტსმენი, რომელიც დაარღვევს თანმიმდევრობას, იღებს 60 საჯარიმო ქულას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემზღუდველების წაქცევაზე და სავარჯიშოების შესრულებაზე ფასის დარღვევაზე მონაწილეს ერიცხება საჯარიმო ქულები.

1. „წრე". ორი კონცენტრირებული წრეხაზი, გარეთა 5 მეტრი და შიგნითა — 3 მეტრი რადიუსით. კარის სიგანე 3 მეტრი. მონაწილე წინა სვლით შედის წრის სავალ ნაწილზე, საათის ისრის მოძრაობის მიმართულებით შემოსწერს წრეს და გამოდის ისე, რომ არ წაიქცეს შემზღუდველები.

საჯარიმო ქულები: ყოველი შემზღუდველის შეხებაზე — 8 ქულა, კარების შემზღუდველის შეხებაზე — 12 ქულა. თუ მონაწილე შეეხო ექვს შემზღუდველს, სავარჯიშო შეუსრულებლად ითვლება, სავარჯიშოს შეუსრულებლობაზე ერიცხება 60 საჯარიმო ქულა.

2. „ბოქსი". სწორკუთხედი (ბოქსი) სიგანით 195 სმ და სიგრძით 435 სმ განლაგებულია სწორი კუთხით მარჯვნიდან როცა შევდივართ მოედანზე, რომლის სიგრძე 840 სმ-ია და სიგანე 740 სმ. მონაწილე შევა რა პირდაპირი სვლით მოედანზე, უკუსვლით უნდა დააყენოს ავტომობილი ბოქსში ისე, რომ არ შეეხოს შემზღუდველებს.

საჯარიმო ქულები თვითეული შემზღუდველის შეხებაზე — 8 ქულა, მოედანზე ან „ბოქსში" არასრულ შესვლაზე — 20 ქულა.

ექვსი შემზღუდველის შეხება ითვლება სავარჯიშოს შეუსრულებლობად. სავარჯიშოს შეუსრულებლობა ჯარიმდება — 60 ქულით.

3. „კლაკნილა". ხუთი შემზღუდველი დაყენებულია სწორ ხაზზე 575 სმ ინტერვალით და ქმნიან ოთხ გასასვლელს. მონაწილემ თანმიმდევრულად უნდა გაიაროს ყველა გასასვლელი ისე, რომ არ შეეხოს შემზღუდველებს.

საჯარიმო ქულები: თვითოეული შემზღუდველის შეხებზე — 8 ქულა, ერთი გასასვლელის გამოტოვება — 20 ქულა, ერთზე მეტი გასასვლელის გამოტოვება ითვლება სავარჯიშოს შეუსრულებლობად. სავარჯიშოს შეუსრულებლობა ჯარიმდება 60 ქულით.

4. „ესტაფეტა". ორი დგარი ერთმანეთისაგან 3000 — 4000 სმ-თაა დაცილებული. ყოველ დგარზე პერპენდიკულარულად განლაგებულია 20 სმ სიგრძის კრონშტეინი. ის იმყოფება მოედნის ზედაპირიდან ავტომობილის კარის სარკმლის შუა ნაწილის სიმაღლეზე, „ესტაფეტას" წარმოადგენს 20 სმ დიამეტრის 5—10 სმ სიჩქარის ხისტი რგოლი. მონაწილემ ავტომობილიდან გამოუსვლელად უნდა ჩამოხსნას ეს რგოლი დგარიდან და ჩამოაცვას იგივე რგოლი მეორე დგარის კრონშტეინს, თუ კი რგოლი ვერ იქნა ჩამოხსნილი ან ვერ იქნა ჩამოცმული კრონშტეინზე,

5. თაღიანი „ჭიშკარი". ორი კარი სიგანით 175 სმ დადგმულია ანდა წაქცეულია დგარი, მონაწილეებს ერიცხებათ 20 საჯარიმო ქულა ერთმანეთისაგან 240 სმ-ის მანძილზე. კარებს აღნიშნავენ ჰირიზონტალური კონსოლური შემზღუდველებით რომლებიც იმყოფება ავტომობილის მაქსიმალურ გაბარიტულ სიგანეზე. გასასვლელის ზომების კონ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტროლისათვის კართა სიგანე აღინიშნება მოედნის ზედაპირზე სათანადო ნიშნებით.

მონაწილემ პირდაპირი სვლით უნდა გაიაროს „ჭიშკარი“ ისე, რომ არ შეეხოს შემზღუდველებს.

საჯარიმო ქულები: ერთი შემზღუდველის შეხებაზე — 30 ქულა. ორი შემზღუდველის შეხება სავარჯიშოს შეუსრულებლობად ჩაითვლება.

სავარჯიშოს შეუსრულებლობაზე — ჯარიმა 60 ქულა.

6. „ნაკვლევი“. ორი წყვილი ხის ცილინდრული ნაჭერი ავტომობილის ერთი მხარის თვლებისათვის ქმნის გასასვლელს, რომელიც ეტოლება საბურავების პროფილის სიგანეს 150 მმ და დაიდგმება ერთმანეთისაგან 410 სმ მანძილზე. მონაწილემ წინა სვლით უნდა გაატაროს ავტომობილის წინა და უკანა მარჯვენა სვლები ისე, რომ არ შეეხოს მათ. ცილინდრის ყოველი წამოდება ჯარიმდება 15 ქულით.

7. „შესვლა სადგომზე“. სწორკუთხა მოედანი სიგრძით 630 სმ და სიგანით 185 სმ შემოსაზღვრულია სამი მხრიდან, მეოთხე ღია გრძელი მხარე აღნიშნულია ზედაპირული ხაზით. მონაწილემ უნდა შეიყვანოს და დააყენოს ავტომობილი მოედანზე ისე, რომ არ შეეხოს შემზღუდველებს და ამ ავტომობილის გეგმილი არ ეხებოდეს მოედნის ღია მხარის ზედაპირულ ხაზს.

შემზღუდველის შეხებაზე — 8 ქულა, თუ ავტომობილის რომელიმე დეტალი სცდება მოედნის გაბარიტს — 20 ქულა. სავარჯიშო შეუსრულებლად ითვლება, თუ მონაწილე შეეხო სამ შემზღუდველს — ჯარიმა 60 ქულა.

8. ხაზი „სდექ“. მოედნის ზედაპირზე მოძრაობის მიმართულების პერპენდიკულარულად გავლებულია საღებავებით 150 მმ-ის და 3 მეტრის სიგრძის ხაზი. მონაწილემ უნდა გააჩეროს ავტომობილი ისე, რომ პირველივე ცდით ორივე წინა თვლებმა ხაზთან იქონიონ კონტაქტი. ორივე თვალის ხაზთან კონტაქტის უქონლობისათვის ირიცხება ჯარიმა — 20 ქულა.

მონაწილის ჩასათვლელი შედეგი განისაზღვრება საჯარიმო ქულების ჯამით, რომლებიც დაერიცხებათ სავარჯიშოთა შესრულებისას დაშვებულ შეცდომებზე პლუს დრო (წამი — ერთი ქულა). თუ სპორტსმენმა ოფიციალურ საწვრთნელ ვარჯიშზე ვერ შეასრულა სამი სავარჯიშო, მსაჯთა კოლეგიას ნება ეძლევა არ დაუშვას ის ჩქაროსნულ მანევრირებაზე. ასეთ შემთხვევაში გუნდს ერიცხება 300 საჯარიმო ქულა.

სროლა მცირეკალიბრიანი შაშხანიდან

იარაღს (სამამულო წარმოების მცირეკალიბრიანი შაშხანა — ტოზ 12 დამატებითი სამიზნით) და ვაზნებს უზრუნველყოფს ორგანიზატორი. სამიზნე № 7 დისტანცია 50 მეტრი. ვაზნების რაოდენობა — 8 (3 სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცდელ• და 5 ჩასათვლელი). დრო საცდელ სროლაზე — 3 წუთი, ჩასათ-- ვლელზე — 5 წუთი. მდგომარეობა: წოლითი, ხელიდან ღვედის გამო-- ყენებ••ი.

შედეგების განსაზღვრა: სპორტსმენს, რომელიც აგროვებს 50-ზე ნაკლებ ქულას, ერიცხება ჯარიმა, რომელიც ტოლია 50-ისა და შეგროვებულ ქულებს შორის სხვაობისა.

კორექტირება ნებადართულია მხოლოდ საცდელი სროლის დროს.

მოძრაობის წესების მცოდნეთა კონკურსი

მონაწილე იღებს ხუთ შეკითხვას წერილობითი სახით. ყველა არასწორ პასუხზე მას ერიცხება 15 საჯარიმო ქულა. პასუხებისათვის დროს განსაზღვრავს მსაჯთა კოლეგია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1981 წლის 15 ოქტომბრის გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

სასკოლო სახელმძღვანელობის გაუმჯობესებისა და სრულყოფის საკითხებზე მომუშავე რესპუბლიკური საკოორდინაციო საბჭოს შექმნის შესახებ

კოლეგია განიხილავს რა გაზეთ „კომუნისტში“ ა/წ 29 სექტემბერს გამოქვეყნებულ პროფ. შ. კეკელიას წერილს „სახელმძღვანელოს სატკივარი“ რედაქციის მინაწერითურთ, აღნიშნავს, რომ განათლების სამინისტრომ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ახალი პროგრამებით სწავლების შემოღებასთან დაკავშირებით გარკვეული ღონისძიებანი გაატარა ორიგინალური სასკოლო სახელმძღვანელოების გაუმჯობესებისა და მათი შემდგომი სრულყოფის საქმეში.

სსრკ განათლების სამინისტროს ტიპიური პროგრამების საფუძველზე შეიქმნა, გამოიცა და მიმდინარე 1981/82 სასწავლო წლიდან მოქმედებაშია ახალი პროგრამები ქართულ ენასა და ლიტერატურაში, მათემატიკაში, ფიზიკაში, უცხოურ ენებში, გეოგრაფიაში, ქიმიაში, ზოლოგიაში, შრომით სწავლებაში. სულ 23 დასახელების პროგრამა.

ახალი პროგრამების მოთხოვნათა გათვალისწინებით შეიქმნა, გამოიცა და, აგრეთვე, 1981/82 სასწავლო წლიდან მოქმედებაშია შემდეგი სახელმძღვანელოები: „დედაენა მოსამზადებელი კლასისათვის“ „ქართული ენა მე-4 კლასისათვის“, ქართული ლიტერატურა მე-4 და მე-5 კლასებისათვის, უცხოური ენები (ინგლისური, გერმანული, ფრანგული) მე-4 კლასებისათვის; სრულყოფის პროცესშია რიგი ორიგინალური სახელმძღვანელოებისა სხვადასხვა საგნებში.

ახალი სახელმძღვანელოების შექმნა-განახლების საკითხებზე განათლების სამინისტროსთან მუშაობს საგნობრივი მეთოდური საბჭოები, რომელთაც მინისტრის მოადგილე ამხ. მ. კობახიძე ხელმძღვანელობს.

კოლეგია ითვალისწინებს გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციის მინაწერში წამოყენებულ წინადადებას და ცალკეულ სახელმძღვანელოებზე მომუშავე ავტორთა კოლექტივებზე დახმარებისა და კონტროლის გაუმჯობესების, ამ მიზანმიმართულ მუშაობაში მეცნიერთა და პრაქტიკოს მასწავლებელთა მოწინავე ნაწილის ფართოდ ჩაბმის მიზნით მიზანშეწონილად ცნობს დამატებით შექმნას ორიგინალური სასკოლო სახელმძღვანელოების გაუმჯობესებისა და მათი შემდგომი სრულყოფის მეთოდურ და ორგანიზაციულ საკითხებზე მომუშავე რესპუბლიკური საკოორდინაციო საბჭო, რომელიც აქტიურ დახმარებას გაუწევს ავტორთა კოლექტივებს პროგრამებისა და მათში ცვლილებების შესატანად წინადადებების შემუშავების საქმეში.

კოლეგიამ გადაწყვიტა:

1. შეიქმნას სასკოლო სახელმძღვანელოების გაუმჯობესებისა და სრულყოფის საკითხებზე მომუშავე რესპუბლიკური საკოორდინაციო

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭო; თავმჯდომარეობა დაევალოს განათლების მინისტრს პროფ. ო. ქინქლაძეს.

2. რესპუბლიკური საკოორდინაციო საბჭო შედგება საბჭოს პრეზიდიუმისა და შემდეგი საგნობრივი კომისიებისაგან:

1. სკოლამდელი აღზრდა
2. დაწყებითი განათლება
3. ქართული ენა და ლიტერატურა
4. რუსული ენა და ლიტერატურა
5. ისტორია-საზოგადოებათმცოდნეობა, საბჭოთა სახელმწიფოს და სამართლის საფუძვლები
6. გეოგრაფია
7. მათემატიკა
8. ფიზიკა-ასტრონომია
9. ქიმია
10. ბიოლოგია
11. უცხოური ენები
12. აღმოსავლური ენები
13. შრომითი აღზრდა
14. ესთეტიკური აღზრდა

3. რესპუბლიკური საკოორდინაციო საბჭოს პრეზიდიუმი იმუშავებს შემდეგი შემადგენლობით:

თავმჯდომარე — მინისტრი

წევრები — მინისტრის მოადგილე

პედაგოგიურ მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი

მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალური ინსტიტუტის დირექტორი

სკოლების სამმართველოს უფროსი

სახელმძღვანელოების სამმართველოს უფროსი (მდივანი)

სასკოლო მეთოდური ცენტრის დირექტორი

საგნობრივი მეთოდური კომისიის თავმჯდომარეები

გამომცემლობა „განათლების“ დირექტორი

4. თავის საქმიანობაში სასკოლო სახელმძღვანელოების გაუმჯობესებისა და სრულყოფის საკითხებზე მომუშავე რესპუბლიკური საკოორდინაციო საბჭო იხელმძღვანელებს საკავშირო და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროების ბრძანებებითა და ინსტუქციებით.

კოლეგიის თავმჯდომარე,
მინისტრი **ო. ქინქლაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1981 წლის 15 ოქტომბრის გადაწყვეტილება

თბილისის 152-ე საშუალო სკოლის არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაულის შესახებ

